140
1958 /3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პიონერი

11
ნოემბერი
1958



# საოქტომბრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ გვეტაძე

დღეს სხვაგვარია ლაჟვარდის ფერი,
შემოდგომაა და რარიგ თბილა!
ჩანგთა, ჩონგურთა სიმების ჟღერით
დგას დიდებული ნოემბრის დილა.

ხარობს სამშობლო ჩვენი გამზრდელი,
გული შეჰხარის დროშებს ალიანს.
მაინც სად იყო დროშა ამდენი!..
რა შრიალია, რა შრიალია!..

გრგვინავს სიმღერა ბედნიერების,
დღეა, ნოემბრის წყნარი დარია
და მზით სავსენი და ძლიერები
ვმღერით, ვზეიმობთ და გვიხარია.

კვლავ ალტაცება ცამდე ასული,
ქუჩას უცქერ და წინ ჩხედებ.
კვლავ მოღიმარი და დარაზმული,
ბავშვი, ჭაბუკი, ტკბილი დედები.



ნახ. დ. ნოდიასი

პიონერული დროშის ფარჩებით,
ყელსახვევების ლალი ფრიალით,—
მოაბიჯებენ ჩვენი ბავშვები,
თვალცისკრიანნი, თვალგიშრიანნი.

ახდა, ასრულდა, რაც გულს ენება,
დაჰქრის ნიავი შვების მომბერი.
იყოს დღეგრძელი ეს გათენება!..
იყოს დღეგრძელი ეს ოქტომბერი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

11

ნოემბერი
1958

გამოცემის წელი
XXXII

7156

## შინაარსი



გვ.

ვ. გვეტაძე—საოქტომბრო (ლექსი) . . (გარეკანის) 2
ლ. ჭავჭავაძე—დღეები ბულგარეთში (ნარკვევი) . . 2
რ. ჩაჩუა—ბათუმის პიონერთა პარკში (ნარკვევი) . 4
ი. გრიშაშვილი—საყვედური (ლექსი) . . . . . . . 5
რ. თვარაძე, ა. სულაკაური—ჩვენი ეზო (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . . . . . . . . . . . . . 6
ი. სიხარულიძე—1. ძმურად გაინაწილეს, 2. როგორ გაიხარებდა! (ლექსები) . . . . . . . . . . . . 15
ა. ბელიაშვილი—მხატვრის შეგირდი (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . . . . . . . . . . . . . 16
ა. ონელი—დოყლაპია (ზღაპარი) . . . . . . . . 20
ა. კოკაია—ხუტა ბერულავა—„ჩემი ნობათი“ (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . . . . 23
ნ. კალანდარიშვილი—რ. ჯიოვანოლი—„სპარტაკი“ (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . . . . 23
გ. თევზაძე—რაკეტა (წერილი) . . . . . . . . . 24
ვ. სიდამონიძე—გამოჩენილ ადამიანებზე (წერილი) 26
ს. პრუსაკი—თხისმწოვი ხვლიკი (ნარკვევი) . . . . 27
თ. ჯანგულაშვილი—მანანა მოსკოვში (ლექსი) . . 28
არაკები: 1. გონიერი მორჩილი (იაპონური არაკი), 2. ამაყი პეპელა (ზანგური არაკი), 3. როგორ იყიდა მდიდარმა ხორცი (ჩინური არაკი) 28
ა. კარბელაშვილი—ველოსიპედი (გამომგონებლობის ისტორიიდან) . . . . . . . . . . . . . . . 30
მ. აბრამიშვილი—დოქი (ლექსი) . . . . . . . . . 31
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . . . . . 31
საინტერესო თემაზე . . . . . . . . . . . . . 32
გასართობი . . . . . . . . . (გარეკანის) . 3







გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე—„შემოდგომა“—ნახატი თ. სამსონაძისა.

ჟურნალი დასურათებულია: დ. ნოდიას, ე. ამბოკაძის, რ. ცუცქირიძის, ლ. ცუცქირიძის, დ. ხახუტაშვილის და ნ. შალიკაშვილის მიერ.



რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარჯგანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი).

საბლიტგამი



# პიონერის კლუბი

«პიონერის კლუბის» ნოემბრის სხდომაზე მოვიწვიეთ თბილისის რკინიგზის პირველი საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ირაკლი პატარქალაშვილი, რომელმაც წლევანდელი ზაფხული ბულგარეთის საერთაშორისო პიონერბანაკში გაატარა; მოვიწვიეთ, აგრეთვე, ლენინის სახელობის ბათუმის პიონერთა პარკის აქტივისტები; პოეტი იოსებ გრიშაშვილი კი თვითონ გვეწვია.

პიონერმა ირაკლი პატარქალაშვილმა ბულგარეთში ყოფნის შთაბეჭდილებანი გაგვიზიარა და თავის უცხოელ მეგობართა შესახებ გვიამბო.

ბათუმის პიონერთა პარკის აქტივისტებმა გაგვაცნეს თავიანთი პარკის ისტორია, აგვიწერეს ბათუმელ ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ სპორტსმენთა, ნორჩ მხატვართა საქმიანობა და წარმატებანი.

პოეტი იოსებ გრიშაშვილი კი საყვედურითა და საჩივრით ეწვია ჩვენს კლუბს. გულისტკივილით განაცხადა, რომ მოზარდ მაყურებელთა და სხვა თეატრებში რამდენჯერმე მოწმე გახდა ბავშვების მიერ წესრიგის დარღვევისა, რაც ხელს უშლის სპექტაკლის ნორმალურ მსვლელობას. პოეტს საყვედურის ლექსი დაეწერა და გვთხოვა კლუბის წევრებს გაგაცნოთ.

## დღეები ბულგარეთში

ბულგარეთის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ნავსადგურ ვარნასაგან ოცდახუთი კილომეტრის დაშორებით, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს პიონერთა საერთაშორისო ბანაკი, სადაც მიმდინარე ზაფხულს 15 ქვეყნიდან წარგზავნილი პიონერები ისვენებდნენ. ბანაკში იყვნენ ბულგარელი, საბჭოთა, რუმინელი, ბელგიელი, ავსტრიელი, სირიელი, ეგვიპტელი, უნგრელი, ფრანგი, ინგლისელი, შვეიცარიელი. გერმანელი, შვედი, პოლონელი და ჰოლანდიელი პიონერები. ყოველდღიურად იმართებოდა ბანაკში ეროვნული საღამოები, რომლებზედაც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ერთმანეთს ხვდებოდნენ და თავიანთ შემოქმედებას უჩვენებდნენ. ერთ-ერთ ასეთ საღამოზე ქართველმა პიონერმა ცეკვა „ქართული“ შეასრულა. მჩქეფარე, ტემპერამენტიანმა ცეკვამ მთლიანად დაიპყრო მაყურებელი. ხანგრძლივი ოვაციით დააჯილდოვეს შემსრულებელი.



პიონერი ირაკლი პატარქალაშვილი

ალბათ გაინტერესებთ, ვინ იყო ყმაწვილი, რომელმაც ჩვენი ეროვნული ცეკვებით გვასახელა შორეულ ბულგარეთში! იგი თქვენსავით პიონერია, სწავლობს თბილისის რკინიგზის პირველი საშუალო სკოლის მე-7 კლასში. პირველი კლასიდან ხუთოსანია. სკოლის პიონერულმა ორგანიზაციამ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა ირაკლი პატარქალაშვილს საზღვარგარეთ, საერთაშორისო პიონერბანაკში გასამგზავრებლად.

მართლაც, 1958 წლის პირველ აგვისტოს ირაკლიმ სხვა საბჭოთა პიონერებთან ერთად პირველად შედგა ფეხი დუნაიზე აგებულ ხიდზე, რომელსაც „მშვიდობისა და მეგობრობის ხიდი“ ეწოდება და რომლის იქითაც იწყება ბულგარეთის მიწა.

ცისფერი დუნაის ზვირთები და რძისფერი ნისლით დაბურული როდოპის მთები მხიარულად ესალმებოდნენ საბჭოთა სტუმრებს.

ბანაკში საბჭოთა პიონერებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს მსოფლიოს მრავალი კუთხიდან ჩამოსულმა პიონერებმა.

ისინი მალე დამეგობრდნენ.

ფრანგი ანდრე და ბულგარელი სიმონი ირაკლის გუ-

ლითადი მეგობრები გახდნენ. უცხოელი მეგობრები წარმტაცად მოუთხრობდნენ ქართველ მეგობარს თავიანთ ქვეყნებზე. ირაკლის თვალწინ იშლებოდა პარიზის ულამაზესი ხედები, ელისეის დიდებული მინდორი. ანდრე მას ხშირად უამბობდა ფრანგი ბავშვების ცხოვრებაზე.

ბანაკში მჩქეფარე, ნამდვილი პიონერული ცხოვრება დუღდა. პიონერები ხშირად დადიოდნენ ექსკურსიებზე. მათ ინახულეს ოდესღაც დიდებული მონასტერი ალაჯა, რომელიც მეოთხე საუკუნის ისტორიული ძეგლია.

საინტერესო ექსკურსია იქნა მოწყობილი ვარნაში. ვარნა — ბულგარეთის ერთ-ერთი ნავსადგური და ცნობილი კურორტია, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. ვარნაში პიონერებმა დაათვალიერეს საქვეყნოდ ცნობილი აკვარიუმი, რომელშიც თავმოყრილია შავი ზღვის თითქმის მთელი ფაუნა.

დიდი ინტერესით გაეცნენ რუსული დიდების ქალაქს — პლევენს. მან ხომ მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი რუსულ იარაღს. აქ პიონერებმა ნახეს პლევენის გათავისუფლების პარკ-მუზეუმი; იქვე მახლობლად დგას ტაძარი — მავზოლეუმი, სადაც დაღუპულ საბჭოთა მეომართა ნეშტები ასვენია. მავზოლეუმის შესასვლელთან გაზონში ყვავილებით ამოქარგულია წარწერა: „გმირებო, თქვენმა ძვლებმა გვიხსნა ჩვენ“.

19 აგვისტოს საერთაშორისო ბანაკის პიონერები ვარნადან ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გაფრინდნენ. სასტუმრო „მოსკოვში“ ცოტა ხნის დასვენების შემდეგ, ინტერესით დაათვალიერეს ბულგარეთის დედაქალაქი.

სოფიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქალაქში ბევრგან მოჩანს თოვლივით თეთრი ობელისკები, რომლებიც ბულგარეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულ მეომართა პატივისცემის ნიშნადაა აღმართული.

სოფიას, როგორც უძველეს ქალაქს, მრავალი ღირსშესანიშნაობა ამშვენებს. პიონერებმა დაათვალიერეს ძველი ტაძრები, 9 სექტემბრის სახელობის მოედანზე ინახულეს ბულგარელი ხალხის დიდი ბელადის — გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმი.

სოფიის პიონერთა მიწვევით საბჭოთა ქვეყნის ნორჩი წარმომადგენლები ესტუმრნენ სოფიის პიონერთა სასახლეს. სასახლის დათვალიერების შემდეგ გაიმართა კონცერტი ბულგარელი და საბჭოთა პიონერების მონაწილეობით. კონცერტის შემდეგ ბულგარელებმა ყველა საბჭოთა პიონერი დაასაჩუქრეს.

პიონერთა საერთაშორისო ბანაკში სპორტი ყველას იტაცებდა. სპარტაკიადაზე, რომელიც ბანაკში ჩატარდა, საბჭოთა პიონერებმა ფრენბურთში პირველი ადგილი დაიკავეს. მალე ჩატარდა კარნავალი, რომელზედაც გოგოლის „მკვდარი სულების“ ინსცენირება წარმოადგინეს.

ირაკლი პატარქალაშვილი ამ სპექტაკლში მთავარი გმირის — ჩიჩიკოვის როლს თამაშობდა.



საბჭოთა და ბულგარელი ოფიცრები სტუმრად ვარნას საერთაშორისო პიონერულ ბანაკში.

კარნავალში ჩვენმა ბავშვებმა მეორე ადგილი დაიკავეს. პირველი ადგილი ეგვიპტემ და ჰოლანდიამ გაინაწილა. ეგვიპტელმა პიონერებმა წარმოადგინეს სცენა: „ფარაონი სეირნობის დროს“, ხოლო ჰოლანდიელებმა — თავიანთი ნაციონალური ზღაპარი.

ყველაზე დიდი მოვლენა, რომელმაც პიონერთა საერთო აღტაცება გამოიწვია, იყო საბჭოთა მესამე თანამგზავრის ნახვა, რომელიც 10 აგვისტოს გამოჩნდა ბულგარეთის ცაზე. პიონერები ტრიალ მინდორზე გავიდნენ. მათ ნათლად დაინახეს, როგორ გადასერა თანამგზავრმა ვარსკვლავებით მორთული ზეცა და მიეფარა როდოპის მთებს.

მხიარულად გაირბინეს დღეებმა. დადგა განშორების დროც. ირაკლის არასოდეს დაავიწყდება განშორების ამაღელვებელი წუთები. ირაკლი, სიმონი და ანდრე — ქართველი, ბულგარელი და ფრანგი მეგობრები ხელიხელგადახვეულნი იდგნენ ბაქანზე.

— დავიჟდანი, დრუგარე! — მშვიდობით მეგობარო! — უთხრა სიმონმა ქართველ მეგობარს და თვალცრემლიანი გადაეხვია.

მისამართები კარგა ხანია რაც გაცვლილი ჰქონდათ.

— დავიჟდანი! — ბულგარულად წარმოთქვა ირაკლიმ და თვითონაც გადაეხვია მეგობრებს.

მატარებელი დაიძრა, უკანასკნელად გამოჩნდა ტყიანი როდოპი და მაღალ კვარცხლბეკზე მდგარი მადარელი მხედარი.

მალე ირაკლი საყვარელ სამშობლოს დაუბრუნდა.

როცა შევეკითხეთ, თუ რა უფრო ღირსშესანიშნავი იყო ბულგარეთის საერთაშორისო პიონერულ ბანაკში, მან ასე გვიპასუხა:

— ყველაფერი ძალიან საინტერესო იყო! უცხოელ პიონერთა გულუხვ საჩუქრებთან ერთად თან მოვიტანე მათი უამრავი კეთილი სურვილი და, რაც მთავარია, ჩვენს გულებში უფრო ღრმად გაიდგა ფესვი მშვიდობისა და მეგობრობის დიადმა გრძნობამ!

ლია ჭავჭავაძე

# ბათუმის პიონერთა პარკში

დასავლეთით რომ ჩაყვებით სტალინის პროსპექტს და ჩაათავებთ, თქვენს წინ აღიმართება ლენინის სახელობის ბათუმის პიონერთა პარკის თაღებიანი შესასვლელი. შედიხართ პარკში და გული ხალისით გევსება—რა სილამაზეა, რა სიცოცხლეა ირგვლივ! თქვენს პირდაპირ ჩანს ლურჯად მოლივლივე ტბა, რომელიც ბავშვების ყველაზე საუკეთესო გასართობი ადგილია. მოაჯირს მისდგომიან წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები; სიცილით უქნევენ ხელს იალქნიანი ნავებითა თუ თბომავალ „პიონერით“ მოსეირნე მეგობრებს.

მოდით, გავეცნოთ პარკის ცხოვრებას. ხომ გაინტერესებთ, რას საქმიანობენ ჩვენი მეგობარი ბათუმელი პიონერ-მოსწავლეები?

საინტერესო, მიმზიდველი და მრავალფეროვანია დღეს ბათუმელ პიონერთა შრომა-საქმიანობა. ნორჩ ნატურალისტთა წრის წევრებს, მეექვსე საშუალო სკოლის მოსწავლეებს—ნათელა დავითაიას და ჟანა სურგულაძეს რომ ჰკითხოთ, სკოლა უფრო გიყვართ, მშობლიური ოჯახი, თუ პიონერთა პარკიო, გიპასუხებენ—სამივე მშობლიური და საყვარელიაო ჩვენთვის.



ბათუმელი პიონერები ნავით ხეირნობენ თავიანთ საყვარელ ტბაზე.

ნათელა დავითაია მესამე წელია ამ წრის წევრია; წელს პარკის დირექციამ დაავალა, მოსავლელად აეყვანა აბრეშუმის ჭია. ნათელა შეყოყმანდა: რომ გამიჭირდეს მოვლა, წაჰიხდეს, მაშინ სირცხვილით სად გამოვყო თავიო. მაგრამ იფიქრა—უფროსებს ვთხოვ რჩევა-დარიგებასო და ხუთი გრამი აბრეშუმის ჭია გამოიყვანა.

ცივ ნიავს არ აკარებდა ნათელა თავის საყვარელ აბრეშუმის ჭიებს, რომლებიც თვალსა და ხელს შუა იზრდებოდნენ, მსხვილდებოდნენ და ლამაზდებოდნენ. აჰა, დიდკანშიც აჰოვიდნენ, ყვითლად დაიფერნენ და პარკის სახვევიც მოითხოვეს. ნათელა ყოველ წუთს თავს დასტრიალებდა, სინჯავდა პარკის სიმაგრეს, ხარისხს.

... მეგობრებმა მხურვალედ მიულოცეს ნათელას, როცა ნაცვლად ცამეტისა, ოცი კილოგრამი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ჩააბარა სამშობლოს.

ჟანა სურგულაძე კი ყვავილებითაა გატაცებული: მან ოცზე მეტი ბეგონია გამოიყვანა. ეს მით უფრო საამაყოა, რომ ფოთლით მცენარის გამრავლება ძალიან ძნელია. ამას გარდა ჟანამ გამოიყვანა მიხაკის ჩითილები და ნაკვეთზე გადარგა.

რა სიხარულს გრძნობდა, როცა ჩაუვლიდა სალბიას ლამაზი ყვავილებით გადაწითლებულ ნაკვეთს. სალბიას გვერდს უმშვენებდნენ ჟანას მიერ გამოყვანილი სხვა ყვავილებიც—ცინია, პეტუნია.

— აბრეშუმის ჭიისა და ყვავილების მოვლა რა არის! აი, საქმე ისაა, ფრინველს მოუარო და „ლაპარაკი“ ასწავლო.—ხშირად აჯავრებენ ნათელასა და ჟანას რეზო რუსია და ალექსანდრე ჩიგოგიძე, რომელთაც მოსავლელად სამი თუთიყუში ჰყავთ ჩაბარებული.

— ახლა ჩვენი საქმიანობა იკითხეთ,—თავს წამოყოფენ და შეეკამათებიან რეზოს და ალექსანდრეს ფარშევანგის მომვლელები,—გასულ წლებში ფარშევანგი არ იჩეკებოდა, თუ იჩეკებოდა—არ იზრდებოდა; წელს კი ოთხი ნამატი მივიღეთ და ოთხივე იზრდება. აბა, ერთი თქვენ სინჯეთ და ტყვეობის პირობებში გაამრავლეთ ასე ეს ფრინველები. რამდენი შრომა დაგვჭირდა!

— კი მაგრამ, ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია? სულ რამდენიმე მტრედი რომ გვყავდა, ახლა ოთხმოცზე მეტია, კურდღლების რიცხვი სამოცდათორმეტამდე ავიყვანეთ, ციცარის ხუთი ნამატი მივიღეთ...

— მერე რა მოხდა, ნამატი თითქმის ყველაფერმა მოგვცა. სწორედ ამიტომ შევარქვით ამ წელს „ნამატის წელი“.

— ასე მსჯელობა როგორ შეიძლება!—სერიოზული კილოთი ამბობს ვილაც.—თქვენი საქმე რომ მოგწონთ, სხვისასაც დასდეთ ფასი! ახლა ანზორს ჰკითხეთ, რამდენ ხანს ხატავდა მახინჯაურის პეიზაჟს. განა ერთი ხელის მოსმით გააკეთა?!

მჭრთლაც ბევრი იშრომა პიონერთა პარკის ნორჩმა მხატვარმა ანზორ მარგალიტაძემ, ვიდრე მახინჯაურის შესანიშნავ პეიზაჟს ტილოზე გადაიტანდა. ბევრი იშრომა, მაგრამ შრომაც დაუფასდა—ქების სიგელითა და მალვიძარა საათით დააჯილდოვეს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ამასწინათ აქ სპარტაკიადა მოეწყო. თვითონ პიონერ-მოსწავლეები იყვნენ მისი ორგანიზატორები. ბავშვებმა შეჯიბრი გამართეს შაშში, ჭადრაკში, ფეხბურთში, კალათბურთსა და ჩოგბურთში.

სამ დღეს გასტანა სპარტაკიადამ. პარკის ხელმძღვანელობამ გამარჯვებულები საჩუქრებით დააჯილდოვა.

... პიონერთა ინიციატივითვე ეწყობა ლაშქრობები და ექსკურსიები ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად. ფაბრიკა-ქარხნებშიც დადიან, ეცნობიან მათ შრომა-საქმიანობას; ხვდებიან მწერლებს, პოეტებს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს.

ერთხელ მეტად საინტერესო შეხვედრა მოაწყეს. პიონერხელმძღვანელმა გამოაცხადა — კარგი იქნება, შეხვედრა მოვუწყოთ ცნობილ მეფრინველეებსა და მეთევზეებს, რომლებიც ნორჩ ნატურალისტებს თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენო.

— მე ვიცი ერთი კაცი! — წამოიძახა ვილაცამ, — ალექსანდრე დიმიტროპულო. აქვე, მარქსის ქუჩაზე ცხოვრობს. იმდენი ჩიტები ჰყავს! თვითონაც კარგი ხასიათის მოხუცია.

— მე გამოცდილ მეთევზეს მოვიყვან — ივანე კასიტსკის. აგერ, მთისძირის ქუჩაზე ცხოვრობს, — წამოიწყო მეორემ, - მამაც მეთევზე ჰყოლია და ბაბუაც. ვეებერთელა აუზი აქვს და რა სახის თევზი არ დასრიალებს შიგ. ძალიან მიყვარს მათი ცქერა. ძია ვანოც არ მიშლის. იცით, პატარა ოქროს თევზებიც ჰყავს...

ვილაცამ თევდორე შომინი დაასახელა კიდევ — კიროვის ქუჩაზე ცხოვრობს და მთელი ორი ოთახი იადონებისათვის აქვს დათმობილიო.

მართლაც მოიწვიეს პიონერებმა ძვირფასი სტუმრები, უამბეს თავიანთი მუშაობის შესახებ, გაიზიარეს უფროსების მეტად საინტერესო გამოცდილება. სტუმრებმა პიონერებს ფრინველები და თევზები მიართვეს საჩუქრად. მასპინძლებმა მადლობა გადაუხადეს და სამაგიეროდ თავიანთი ხელით გამოყვანილი და გაზრდილი ბეგონიები შესთავაზეს...

განსაკუთრებით ზაფხულობითაა ბათუმის პიონერთა პარკი ლამაზი, მიმზიდველი და მხიარული, როცა პიონერული ბანაკები იქმნება. წელს აქ ორი პიონერული ბანაკი იყო. ერთ-ერთი ბანაკი ზაფხულის არდადეგებზე ქალაქად დარჩენილმა პიონერებმა შექმნეს. სწორედ ამ ბანაკში მოიყარეს თავი ლენინგრადელმა და-ძმამ — იური და გალია აისკოვიჩებმა, მოსკოველმა გოგი მარულიდმა, ერევნელმა ლიოვა პაბუკიანმა და სხვებმა, რომლებიც სტუმრად იყვნენ ჩამოსული ბათუმში.

— ძალიან კარგი პარკია, ძალიან! — ამბობს მზედაკრული ყმაწვილი აისკოვიჩი, რომელსაც სიმაღლის გამო მეგობრებმა „ტარაპუნკა“ შეარქვეს, — ეს — ნამდვილი სავანეა!...

... მართლაც რომ, ბავშვთა მშვენიერი სავანეა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის ბათუმის პიონერთა პარკი.

**რაჟდენ ჩაჩუა**

ფოტო ი. გრიშჩენკოსი



# საყვედური

**ზოგიერთ ონავარს, მოზარდ-მაყურებელთა თეატრს რომ იკლებს.**

მეც ვყოფილვარ თქვენს თეატრში,
მაგრამ ვაი, ამგვარ ყოფას,
რომ ავწერო ყველაფერი,
ზღვა-მელანიც არ მეყოფა!

თქვენისთანა ცუღლუტები
პოეტს განა ეყვარება?
მასწავლებლის დარიგება
თქვენს ყურს სულ არ ეკარება.

მსახიობებს როდი უსმენთ,
ხელს უშლით და ჰკივით, ჰყვირით,
იატაკზე დაცურაობთ
მალაყით და თავდაყირით.

მოდი, ასე გადავწყვიტოთ:
დავეწაფოთ ცოდნის წყაროს,
თეატრიც ხომ სკოლა არის, —
უნდა ყველამ შეიყვაროს!

**ი. გრიშაშვილი**





რევაზ ჯაფარიძე
არჩილ სულაკაური

ნახ. რ. ცუცქირიძისა

# ჩვენი ეზო

## თავი მეხუთე

* * *

ბიჭები სასწრაფოდ გაიყვნენ. ბეჟანმა წამოიღო თავისი ძველი, ათასგან დაკერებული ბურთი და არტემ მექვაბიშვილის კიბეზე ჩამოჯდა. გიგი მისკენ მიტრიალდა და ხმამაღლა დაუძახა:

— ბეჟან, მოდი, ვითამაშოთ!

ბეჟანს თვალები გაუბრწყინდა, ცოტა ხნის შემდეგ ეს სიხარული რატომღაც ჩაუქრა თვალებში. ტუჩზე იკბინა, თავი ჩაღუნა. ბიჭებმა ეჭვით შეხედეს გიგის და, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ბეჟანს გულწრფელად იწვევდა სათამაშოდ, გახარებულნი აყვირდნენ:

— მოდი, მოდი, ითამაშე, ბეჟან!

ბეჟანი წამოდგა, ნელა დაეშვა კიბეზე. დასწვდა თავის ბურთს, იქვე კიბის ძირში რომ ეგდო.

— არ მინდა თქვენთან თამაში,—თქვა და ჭიშკარისკენ გაემართა მხრების უცნაური რხევით, როგორიც მხოლოდ მან იცოდა.

თუმცა თერთმეტნი დარჩნენ, ბიჭებმა მაინც მოახერხეს ორ გუნდად გაყოფა და თამაში: ერთ კარში მიტო დააყენეს, მეორეში კი... ნანა. ის ფანჯარაზე ჩამომჯდარი დაინახეს, თითქმის ძალით ჩამოიყვანეს ეზოში, როგორც იყო დაითანხმეს მეკარეობაზე. თამაშის წესებიც აუხსნეს. ნანა ნიკას გუნდში მოხვდა და, ცხადია, მის გუნდს ცუდად წაუვიდა საქმე; გოგონამ არ იცოდა ბურთის დაჭერა, არც გადახტომა იცოდა. ისეთ ბურთებს უშვებდა ხოლმე, რომ მიტო სიცილით კვდებოდა.

თამაშს ბოლოს მაინც ხელი შეეშალა. ზაურ ბესტაევს დედამ დაუძახა: გაკვეთილები არ დაგიმზადებია, ახლავე შინ შემოდიო. ნიკას გაუხარდა და წამოიძახა:

— ახლა ხუთ-ხუთი ვიქნებით და კარგად ვითამაშებთ!

— ბიჭებო,—თქვა გიგიმ,—გვეყოფა თამაში. შენ წადი, ზაურ, გული ნუ დაგწყდება; ჩვენ აღარ ვითამაშებთ.

ნიკამ ეშმაკურად თვალი ჩაუკრა გიგის; ეგონა ზაურს ატყუებდნენ. მაგრამ მისი იმედი არ გამართლდა.

— არა, ნიკა,—უთხრა გიგიმ,—სხვა დროსაც რომ ხელი არ შეგვეშალოს, მოდი, დავთქვათ: ბურთი მხოლოდ იმათ ითამაშონ, ვისაც გაკვეთილები დამზადებული ექნება.

ეს აზრი თითქმის არც ერთ ბიჭს არ მოეწონა, განსაკუთრებით ნიკას, მიტოსა და თამაზს. გიგი კი უკვე ჩუტავდა წითელ ბურთს.

— შენი ხომ არ არის ეგ ბურთი, რატომ დაჩუტე?—გაბრაზდა ნიკა.

— ძია ლევანმა ხომ თქვა, ყველასიაო!—აჰყვა ნიკას მუმუშა.—რატომ დაისაკუთრე?!

---

* გაგრძელება. იხილეთ „პიონერი“ № 10

— მე არ დამისაკუთრებია.

— თუ არ დაგისაკუთრებია, მოგვეცი!

— შენ უნდა წაიღო ეგ ბურთი? — შეეკითხა გიგის ნიკა.

— მე რატომ უნდა წავიღო?

— მაშ, ვის ექნება?

გიგიმ მხრები აიჩეჩა.

— კენჭი ვყაროთ, — თქვა მუმუშამ.

გიგი დაფიქრდა. სახეზე ეტყობოდა, რაღაც აზრი გაუჩნდა, თქმა კი ვერ გადაეწყვიტა. ბოლოს მაინც თქვა:

— იცით რა... ეს სამრეცხაო ვისია?

— არავისი, — იყო პასუხი.

— ჩვენ რომ გამოვასუფთაოთ და დავალაგოთ?

— რაში გვჭირდება?

— ბურთის შესანახად.

— ამოდენა სამრეცხაო ბურთისთვის დავასუფთაოთ?

— მარტო ბურთისთვის რატომ! — ისე ლაპარაკობდა გიგი, თითქოს ხმამაღლა ოცნებობსო. — მე დღეს ვნახე: სამრეცხაოში ონკანია. თამაშის შემდეგ ყოველთვის დავიბანთ, მერე კიდევ, მოდი, ნამდვილი ფეხბურთელებივით ჩავიცვათ ხოლმე თამაშის დროს: ტრუსები, მაისურები... იქნებ ბუცები და პაიჭებიც ვიშოვნოთ... მაისურებზე ნომრები მივიკრათ.

— ვა-ახ! — დააღო პირი ცანცარა კოლამ.

— ფორმასაც მანდ შევინახავთ, — განაგრძობდა გიგი. — ერთი სიტყვით, ნამდვილი ოთახი გვექნება... ოღონდ მოწყობა არ დაგვეზაროს და...

— თუ გინდათ, მამაჩემს ვეტყვი, შკაფს გაგვიკეთებს, მამაჩემი ზეინკალია, — წინადადება მისცა ბიჭებს თამაზმა.

— რა კარგი იქნება! — ტაში შემოჰკრა მიტომ.

აღტაცება სხვებსაც გადაედო. უკვე საღამოვდებოდა. ისინი ისხდნენ მექვაბიშვილის ბინის კიბეებზე და ოცნებობდნენ...

## თავი მეექვსე

ბეჟანს ნამდვილი მეგობარი არ ჰყავდა. ყველაზე კარგი ამხანაგები ისევ ჩვენს ნაცნობ ეზოში ეგულებოდა. მაგრამ მათგან სახლში არავინ მიაკითხა: ეტყობოდა, უიმისოდაც კარგად გრძნობდნენ თავს. ის კი სკოლაშიც აღარ დადიოდა. რადიოში რომ შეარცხვინეს, იმ დღეს დაიფიცა — სკოლაში აღარასოდეს აღარ წავალო.

დილით დედ-მამასთან ერთად ჩანთით ხელში გამოდიოდა სახლიდან — ვითომ სკოლაში მივდივარო. მშობლებს რომ სამსახურში გაიგულებდა, შინ დაბრუნდებოდა, ჩანთას დასტოვებდა და მერე მთელ დღეს მოწყენილი მარტოდ-მარტო დაეხეტებოდა ქუჩებში.

მოწყენილობის გარდა ბეჟანს კიდევ ერთი რამ აწუხებდა: ვერაფრით შერიგებოდა იმ აზრს, რომ მის მიერ დაშინებულმა და დიდი ხნის ერთგულმა ბიჭებმა ხმა აღიმაღლეს, აღარ ემორჩილებოდნენ და ვიღაც ახალ მოსულ გიგის აჰყვნენ. ნიკამაც კი ბოლომდე არ გაიტანა, იმ ნიკამ, რომელიც ბეჟანის ყველაზე ახლომეგობრად ითვლებოდა. თუმცა, ცოდვა გატეხილი სჯობია, ბეჟანი ხანდახან ნიკასაც წამოჰკრავდა ხოლმე კისერში; სამაგიეროდ, მხოლოდ ნიკას ჰქონდა უფლება ბეჟანის სახელით დაეშინებინა ბიჭები, მხოლოდ ნიკას შეეძლო ხელში აეყვანა და ჰაერში გაეფრინა ბეჟანის მტრედები...

„ოჰ, მართლა, ჩემი მტრედები!“ — გაიფიქრა ბეჟანმა და მოულოდნელად შესანიშნავი აზრი დაებადა.

ქუჩიდან სასწრაფოდ ეზოში შებრუნდა, აცოცდა თავისი ფანჯრის წინ დადგმულ სამტრედეზე და იქიდან ორი მტრედი გამოიყვანა. მათზე ამყარებდა ახლა უკანასკნელ იმედს. „ალბათ ის გიგიც მომვარდება და ხვეწნას დამიწყებს, მტრედი ხელში დამაჭერინეო, — ფიქრობდა ბეჟანი, — ვერ მივართვი!.. დამაცადოს! ჯერ სად არი, კიდევ ბევრჯერ გავამწარებ“.

ამ ფიქრებით გაიარა მან თავისი ქუჩა, და ჩვენი ნაცნობი ეზოს ჭიშკარიც გამოჩნდა. ეზოში შესვლისთანავე თვალი მოჰკრა სამრეცხაოსთან თავშეყრილ ბიჭებს, ოღონდ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერავინ შეამჩნიაო, მარჯვენა ხელი აიქნია და თავისი ნაცრისფერი ქოჩორა მტრედი ჰაერში შეაფრთხიალა.

ფრთების ფათქუნზე ბიჭებმა მოიხედეს.

„ახლავე ჩემკენ გამოიქცევიან“, — გაიფიქრა ბეჟანმა და ახლა მარცხენა ხელში შეაფრთხიალა მტრედი.

მაგრამ მისკენ არავინ გამოქცეულა.

— ბიჭებო, ბეჟანმა მტრედები მოიყვანა! — დაიყვირა მხოლოდ ცანცარა კოლამ და, ის იყო ბეჟანისაკენ გაქანებას აპირებდა რომ, ნანას ხმა მოესმა:

— კოლა, მაისური მომეცი, შენი ჯერია.

და ცანცარა კოლაც დაუყოვნებლივ უკანვე გაბრუნდა.

ბეჟანი გაშტერდა. არაფრით არ მოელოდა ასეთ შეხვედრას. გარშემო მიმოიხედა. მის აქ არყოფნაში ეზოში ბევრი ცვლილება მომხდარიყო: ორ მოპირდაპირე მხარეს ბოძები დაესოთ და ფეხბურთის ორი კარი გაეკეთებინათ. სათამაშო მოედანი გაეწმინდათ, ნამდვილი სტადიონივით დაეხაზათ ცენტრი, საჯარიმო მოედნები. პენალტის დასარტყმელი ადგილის აღნიშვნაც არ დავიწყებოდათ.

ბეჟანს მტრედები დაავიწყდა. იგი მიუახლოვდა სამრეცხაოსთან შექუჩულ ბიჭებს და მიესალმა. ბიჭებმაც სალმით უპასუხეს, ოღონდ ეს სალამი სულ არ ჰგავდა იმ ყიჟინას, რომლითაც მას წინათ ხვდებოდნენ ხოლმე ამ ეზოში. ყველას საქმე გამოსჩენოდა. სამრეცხაოს წინ ჩამომსხდარიყვნენ მეზობელი გოგონები — ნანა და ია და რაღაცის კერვით იყვნენ გართული.

ბეჟანმა სამრეცხაოში შეიხედა, მერე შიგნითაც შევიდა, აქაურობაც ვერ იცნო. აღარც ძველი ხარა-ხურა ჩანდა სადმე, აღარც გაუქმებული სარეცხის ვეებერ-

თელა ქვაბი, არც აბლაბუდები კედლებზე და არც მტვერი სარკმელის მინაზე. გაკრიალებულ ოთახში ბეჟანს დახვდა შხაპი, სახელდახელოდ გაკეთებული მაგიდა, ორი სკამი და ორი ყუთი, რომლებიც კარადის მაგივრობას სწევდნენ. ჩასასვლელი კიბის დამპალი საფეხურები სადღაც გამქრალიყო, საფეხურები აგურით ამოეშენებინათ.

ამდენი საოცრების ნახვით გაოგნებული ბეჟანი უკან გამობრუნდა. გარეთ ახალი საოცრება დაინახა: სამრეცხაოდან ხუთიოდე ნაბიჯზე მისკენ ზურგშექცეული იდგა ტრუსსა და მაისურაში გამოწყობილი ნამდვილი ფეხბურთელი, რომელსაც ზურგზე დიდი ცხრიანი ეწერა. ბეჟანმა გაკვირვებისა და შურისაგან კინაღამ შეჰყვირა, როდესაც ფეხბურთელმა თავი მოაბრუნა და აღმოჩნდა, რომ ეს გუგე იყო.

ბეჟანმა სხვა ბიჭებიც აათვალიერა. მიტოს ჯემპრზე დაკერებული ჰქონდა ნიშანი „1“, თამაზს მაისურაზე — „10“, ზაურს — „3“, ვოვას კი... ბეჟანი უსიამოვნოდ დაიჭყანა, როდესაც ვოვა ვოლკოვს ზურგზე ვეებერთელა შვიდიანი დაუნახა, რადგან ვოვას მოთამაშედ არც თვლიდა და მხოლოდ თავისთავი მიაჩნდა სწორუპოვარ მარჯვენა გარემარბად.

— ვა, ესეც რომ მარაქაში გარეულა!... — დაცინვით წამოიძახა მან ვოვას შვიდიანის დანახვაზე და, რადგან ორივე ხელში მტრედები ეჭირა, დააპირა ვოვასთვის პანღური ამოეკრა.

ვოვა აიქოჩრა, უშიშრად წინ გამოეჭიმა, თვალები გადმოკარკლა და ბოღმით სავსე ხმით უთხრა:

— აბა! აბა! შენ ძველი დრო ნუ გგონია! თუ მარტო მე ვერ მოგერიე, ყველანი ერთად დაგესევით და მაშინ ნახე!...

ბეჟანი შეკრთა. თვალი მოავლო ბიჭებს. მოეჩვენა, რომ ყველას პირი შეეკრა მის წინააღმდეგ, ერთად დამდგარიყვნენ და მოღუშულნი შესცქეროდნენ. ცანცარა კოლაც კი დაბღვერილი იცვამდა თავის მაისურს, რომელზედაც ის-ის იყო ნანას ნახევარმცველის ნიშანი „5“ დაეკერებინა.

ბეჟანი მიხვდა, რომ ბიჭები აღარ ხუმრობდნენ. ისევ თავის მოკატუნება არჩია:

— კარგი! კარგი! ნუ იჭიმები... გეხუმრე... — გაიცინა მან ნაძალადევად და ვოვას მტრედი გაუწოდა, აჰა, არ გინდა? გააფრინე!

ვოვამ უარი უთხრა. სამაგიეროდ ცანცარა კოლას სახეზე უცბათ შეეცვალა ძველი გამომეტყველება; ბეჟანთან მიირბინა და შეეხვეწა:

— მომეცი, მე გავაფრენ, ბეჟან!

რადგან სხვა მსურველი არავინ აღმოჩნდა, ორივე მტრედის გაფრენა ცანცარა კოლას მოუწია. კოლას არც დაესიზმრებოდა ასეთი ბედნიერება. ბეჟანს კი მეტი რაღა დარჩენოდა — ბიჭებს უნდა შერიგებოდა და მათთან ბურთი ეთამაშა.

მალე ბიჭები ორ გუნდად გაიყვნენ და ფეხბურთიც გაჩაღდა.

## თავი მეშვიდე

გიგი და ბეჟანი გაყოფისას ერთ გუნდში მოხვდნენ. გიგი ყოველნაირად ცდილობდა, როგორმე შეწყობილად ეთამაშათ, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. ბეჟანი რომ ბურთს ჩაიგდებდა, არავის აწოდებდა, ცდილობდა თვითონ მიეტანა საჯარიმო მოედნამდე და კარშიც თვითონვე დაერტყა. ხოლო თუ ბურთი მისი გუნდის სხვა მოთამაშეს ჰქონდა, ბეჟანი ძველებურად გაჰყვიროდა:

— ჰა, დროზე მომეცი!... ნუ დაიბენი!... მიყურე!... ეჰ, შე უშნო, შენა!...

ბოლოს და ბოლოს მისი ყვირილი ყველას მობეზრდა. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში უკვე შეეჩვივნენ შეწყობილ, კარგ თამაშს და ახლა ბეჟანთან შეთამაშება და მისი ბრძანებების მოსმენა აღარავის სურდა. გიგიმაც დაკარგა მოთმინება და უკმაყოფილო კილოზე უთხრა:

— მაგ ყვირილს ის გირჩევნია, ცოტა მეტი ირბინო... ვერა ხედავ, წავაგეთ თამაში! ..

სწორედ იმ წუთს ბურთი ბეჟანს მიუვიდა და მალე ისეთი რამ მოხდა, რასაც არავინ მოელოდა.

გიგის შენიშვნაზე ბეჟანმა ბურთი გააჩერა, თვითონაც შეჩერდა, გიგის ბოროტად გადახედა და ბურთი ძლიერად დაარტყა გაურკვეველი მიმართულებით. წითელმა ბურთმა ჰაერში გაიშხუილა, პირდაღებულ ცანცარა კოლას თავზე გადაუარა და ეძგერა სესილია კოკოჩაშვილის ფანჯარას, რომლის რაფაზეც წამოსკუპებულიყო ამ თამაშის ერთადერთი მაყურებელი პოპსი. ბიჭებმა თვალი ძლივს შეასწრეს: ბურთი პოპსის მოხვდა და ოთახში შევარდა, ფინია გადაყირავდა და საცოდავად აწკავწკავდა.

ყველამ პირი დააღო. „რა მოხდება ახლა?“ — ეწერა ბიჭების სახეებზე. თვითონ ბეჟანიც დაიბნა — არ ეგონა, თუ მის დარტყმას ასეთი შედეგი მოჰყვებოდა. ყველაზე ადრე ცანცარა კოლა, მუმუშა და აჩიკო გამოერკვნენ — უმალ თავი სამრეცხაოს შეაფარეს.

სხვებს ადგილიდან ფეხიც არ მოუცვლიათ, მიუხედავად იმისა, რომ ელოდნენ — აი, საცაა, ფანჯარაში „ქალბატონი უაღრესად“ გამოჩნდება და შავ დღეს დაგვაყრისო. მაგრამ ოთახიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ჩვენს ფეხბურთელებს იმედი მიეცათ — იქნებ პოპსის პატრონს არაფერი გაუგია და იოლად გადავრჩითო. ის იყო ბჭობა დაიწყეს იმის შესახებ, თუ ვინ გაეგზავნათ ბურთის მოსატანად, რომ სესილია გამოჩნდა. მაგრამ გამოჩნდა არა ფანჯარაში, არამედ ეზოში. იგი ჭიშკრისაკენ მიჰქროდა.

ჩვენი ფეხბურთელები ვერ მიხვდნენ, რაში იყო საქმე, რატომ არაფერი უთხრა მათ სესილიამ, სად გაიქცა ასე გამალებული?

მათ დიდხანს არ მოუხდათ გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა. მალე ქუჩიდანვე მოისმა სესილიას მწივანა ხმა, ეზოში შემოვიდნენ ის და სახლმმართველი — ჩიტანის, გამხდარი კაცი — როსტომ მანჯავიძე.

— აი, მობრძანდით, როსტომ პეტროვიჩ, და საკუთარი თვალით ნახეთ ჩვენი უაღრესად აუტანელი პირობები, — გაჰყვიროდა სესილია კოკოჩაშვილი, — მთელ დღეს მოსვენებას არ გვაძლევენ ეს გასაწყვეტები; დღე ერთია და ათნაირი კისრისსატეხი უნდა მოიგონონ: ეს ლახტი, ის დამალობანა, დაჭერობანა და რა ვიცი რამდენი ჯანდაბა... მაგრამ ამ ფუტბოლით ხომ სულ ამომჭამეს ტვინი! წარმოიდგინეთ, ვზივარ ჩემთვის, მანიკურს ვიკეთებ, პოპსი ფანჯარაზე მიზის... უცებ — ბაც! ვხედავ პოპსი იატაკზე აგდია, ამ შეჩვენებულების ბურთი კი ოთახში მოფრინავს...

— დამშვიდდით, სესილია ნიკიფოროვნა, დაწყნარდით, ახლავე გავარკვევ ყველაფერს, — სცადა როსტომმა მისი დამშვიდება; მაგრამ გამწარებულ სესილიას რა დაამშვიდებდა!

სახლმმართველი როსტომი ბუნებით გულკეთილი, უწყინარი ადამიანი იყო, მაგრამ სესილიას ყვირილისა მართლაც რომ უაღრესად ეშინოდა. ამ ყვირილს ისიც დაემატა, რომ სახლის რამდენიმე ფანჯარაში თავი გამოჰყო ზოგიერთმა მობინადრემ და „ქალბატონ უაღრესადს“ სიტყვა დააწია. ამიტომ როსტომმა, რაც შეეძლო, მკაცრი გამომეტყველება მიიღო და ისე მიუახლოვდა ბიჭებს.

— არ იცით განა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა აკრძალულია?! ეზოში ხმაური და ბურთის თამაში არ შეიძლება! მითუმეტეს, დღეს სესილია ნიკიფოროვნას ბავშვისათვის მოგირტყამთ ბურთი.

— რომელი ბავშვისათვის? — ეშმაკურად იკითხა თამაზმა.

— ვითომ არც იცის, რომლისათვის. ახლა არ თქვა სესილია ნიკიფოროვნამ, ბიჭების ბურთმა პოპსი ჩამოაგდო ფანჯრიდან და მძიმედ დააშავაო?!

თურმე გულუბრყვილო ძია როსტომს „პოპსი“ ადამიანის სახელი ეგონა. ეზოში სიცილი ატყდა. ფანჯარაში გადმომდგარი მეზობლები მადიანად ხითხითებდნენ. ბიჭებსაც დიდი ჟრიამული შეექნათ. როსტომი ახლა მართლა გაბრაზდა.

— ჩუმად! — იყვირა მან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. — სესილია ნიკიფოროვნა, ბურთი თქვენთან არის, არა? მომეცით, გეთაყვა, ჩამაბარეთ. დღეის შემდეგ ეს ბურთი ჩემთან იქნება... აღარ ვნახო აქ ფეხბურთის თამაში! — მკაცრად მიმართა მან ბავშვებს.

— თქვენ რა უფლება გაქვთ ბურთის თამაში აგვიკრძალოთ? — გამოერკვია ვოვა ვოლკოვი.

— ეს ბურთი ჩვენ ძია ლევანმა გვაჩუქა და არ დაგანებებთ, — ხმა ამოიღო ახლა ნიკამ.

— დეიდა სესილიას ფანჯარას შემთხვევით მოხვდა, მეტს აღარ ვიზამთ, — ამბობდა სამრეცხაოდან გამოსული აჩიკო.

ხხვა ბიჭებიც გარს შემოერტყნენ როსტომს. ზოგი ეხვეწებოდა, ზოგი უფრო გაბედულად თხოვდა, ბურთი არ წაგვართვათო, მაგრამ გაჯავრებულმა სახლმმართველმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. სესილიამ ოთახიდან ბურთი გამოარბენინა. როსტომმა ბურთი იღლიაში ამოიჩარა და გამარჯვებულის სახით წასვლა დააპირა. ეზოში გამაყრუებელი ხმაური ატყდა. ბიჭები გაჰყვიროდნენ, როსტომს ირგვლივ უვლიდნენ. ზოგიერთ მეზობელსაც შეებრალა ჩვენი ფეხბურთელები და ეზოში ჩამოუსვლელად, ფანჯრებიდან გადმოსძახეს სახლმმართველს — ცოდონი არიან, ბურთს ნუ წაართმევო; მაგრამ „ქალბატონ უაღრესადს“ და როსტომს არაფერი ესმოდათ.



— ეს ბურთი დღეის შემდეგ ჩემთან იქნება! აღარ ვნახო აქ ბურთის თამაში!..

ამ წარმოუდგენელ აურზაურში და საერთო არეულობაში ვერავინ შენიშნა ერთი ამბავი: როდესაც სესილიამ ბურთი ოთახიდან გამოიტანა და როსტომს გადასცა, როდესაც როსტომმა წასვლა დააპირა, როდესაც ბიჭები უფრო ხმამაღლა აყვირდნენ, როდესაც საქმეში მეზობლებიც ჩაერიენ — ეზოს ჭიშკარში შემოვიდა საშუალო ტანის, ჩასკვნილი, ლამაზი ვაჟკაცი; მას

ძლიერ შვენოდა ტალღისებურად აქოჩრილი თმა და სხივოსანი, გამჭრიახი, მწვანედ მოელვარე თვალები.

უცნობი მამაკაცი ჯერ სადარბაზო შესასვლელისკენ მიდიოდა, მაგრამ შემდეგ, ეტყობა, დააინტერესა ფეხბურთელების ფორმაში გამოწყობილ ბიჭებსა და სახლმმართველს შორის გამართულმა დავამ და მათკენ გაემართა. იგი ერთხანს ჩუმად იდგა და იღიმებოდა. მაგრამ როდესაც სახლმმართველმა როგორც იქნა გამოარღვია აყაყანებული ბიჭების წრე და უკვე ჭიშკრისაკენ აიღო გეზი, უცნობმა რამდენიმე ნაბიჯი მისკენ გადადგა და დინჯად მიმართა:

— რა მოხდა, მეგობარო, რას გედავებიან ეს ვაჟკაცები?

— ბორის!.. — შეჰყვირა მის დანახვაზე როსტომმა და ბურთი ხელიდან გაუვარდა...

იცით ვინ იდგა მათ წინაშე, ვინ იყო ის უცნობი? თქვენ მაშინ ძალიან პატარები იქნებოდით და არ გემახსოვრებათ ის დრო, როდესაც მისი სახელი მთელ ჩვენს ქვეყანაში ჰქუხდა, როდესაც ათასობით, ასიათასობით ადამიანს სუნქვა ეკვრებოდა ხოლმე ფეხბურთის მატჩების ტრანსილაციის წუთებში დიქტორი რომ გამოაცხადებდა: „ბურთი აქვს ბორის პაიჭაძეს“...

დიახ, ჩვენს ეზოში მოსულიყო სახელგანთქმული ფეხბურთელი — ბორის პაიჭაძე.

## თავი მერვე

როსტომ მანჯავიძე სახლმმართველად ახალდანიშნული იყო და ჩვენი ეზოს მკვიდრნი მას კარგად არ იცნობდნენ. თურმე, ნუ იტყვით, ძია როსტომი ფეხბურთის ძველისძველი მოტრფიალე და გულშემატკივარი ყოფილიყო. სიჭაბუკიდან მოყოლებული ერთი ოცნება ჰქონოდა თურმე: სურდა როგორმე გასცნობოდა ბორის პაიჭაძეს და დაახლოებოდა. მაგრამ საამისო შემთხვევა არასდროს მისცემოდა. იგი მოკრძალებული და ხათრიანი კაცი იყო. ასე გასულიყო წლები და როსტომ მანჯავიძეს ოცნება განუხორციელებელი დარჩენოდა.

როდესაც ბორის პაიჭაძემ ფეხბურთის თამაშს თავი დაანება, ძია როსტომი დარდისაგან კინაღამ ავად გამხდარიყო. იგი ძველებურად დადიოდა თურმე ფეხბურთის მატჩებზე, მაგრამ, მოედანზე პაიჭაძეს რომ ვეღარ ხედავდა, ახე ეჩვენებოდა — მთელი მინდორი ცარიელიაო.

და, აი, ახლა, ამდენი წლის გავლის შემდეგ, როსტომ მანჯავიძე პირისპირ შეხვდა ამ ადამიანს. მაგრამ როგორი იყო ეს შეხვედრა? მას ბევრჯერ უფიქრია, თუ რას ეტყოდა გაცნობისას ბორის პაიჭაძეს: ეტყოდა, რომ იგი შეყვარებულია ფეხბურთზე, რომ იგი ბორის პაიჭაძის ნიჭის თაყვანისმცემელია და ნატრობს ახალგაზრდა სპორტსმენებს შორის გამოჩნდეს ვინმე, ვინც კვლავ ასახელებს ქართულ ფეხბურთს.

ახლა რაღა ეთქმოდა ძია როსტომს? მაინცდამაინც ისეთ დროს წაასწრეს, როდესაც ახალგაზრდებს ფეხბურთის თამაშს უშლიდა, თან ბურთის წართმევასაც უპირებდა. ამის შემდეგ როგორღა უნდა შეეხედა თვალებში ბორის პაიჭაძისთვის?

ძია როსტომი დაბნეული იდგა და ეჩვენებოდა — ბორისი მწყრალად მიყურებსო; ნამდვილად კი პაიჭაძე კეთილად იღიმებოდა.

— რა მოხდა, რაზე დაობთ ყმაწვილებო? — ახლა ბიჭებს მიუბრუნდა ბორისი, რაკი შემცბარი სახლმმართველისაგან პასუხს ვერ ეღირსა.

ჩვენს ფეხბურთელთაგან პაიჭაძე არავის ენახა. მართალია, ბევრ მათგანს მისი სურათები შეგროვებული და შენახულიც ჰქონდა, მის შესახებ უფროსებისაგან მრავალი რამ სმენოდათ, მაგრამ ახლა ვერც ერთმა ვერ იცნო ცოცხალი პაიჭაძე.

ჩვენ ფეხბურთის თამაში გვინდა, მაგრამ დეიდა ხესილია და ძია როსტომი არ გვანებებენ, — უპასუხა ბორისს კითხვაზე ნიკამ, რომელსაც უკვე აეტაცებინა როსტომის ხელიდან გავარდნილი ბურთი და თან ცალი თვალი გაქცევაზე ეჭირა — ვინცობაა ისევ დაგვიპირონ ბურთის წართმევა, ცოცხალი თავით არ დავანებებთ.

ნიკას სიტყვების გაგონებაზე როსტომ მანჯავიძეს მოეჩვენა — ესაა, ჩემი ბედი სასწორზე დადეს და, თუ ხაქმეს დროულად არ ვუშველე, ნამდვილად დავიღუპებიო. ის უცბად გამოფხიზლდა და მკაცრად შეუტია ნიკას:

— როგორ არ გრცხვენია, ყმაწვილო, როდის იყო მე ბურთის თამაშს გიშლიდით?! პირიქით!.. რას დაგიღიათ პირები? — შეუყვირა მან ბიჭებს. — იქნებ არ იცით, ვინ მოვიდა დღეს თქვენს ეზოში? მაშ, არ იცით, არაა? პატივცემულო ბორის, — ღიმილით მიმართა პაიჭაძეს დათაფლულმა ძია როსტომმა. — ნება მომეცით ამ ჩვენს ფეხბურთელებს თქვენი თავი გავაცნო: რა მოგივიდათ, ბიჭებო, როგორ ვერ იცანით ჩვენი სახელოვანი ბორის პაიჭაძე?..

— ბორის პაიჭაძე?! — თორმეტ ბიჭს გულიდან გაკვირვებისა და აღტაცების ოხვრა აღმოხდა. მაგრამ, ვიდრე ისინი მოასწრებდნენ საპატიო სტუმარს გარს შემოხვეოდნენ, სესილიას ძახილი გაისმა:

— აჰ, პაიჭაძე! რაოდენ სასიამოვნო შეხვედრაა! მე უაღრესად დიდად ვაფასებ თქვენს ტალანტს, პატივცემულო ბორის!..

ძია ბორისმა მის სიტყვებზე გაიღიმა და ბიჭებს მიუბრუნდა:

— აბა, ერთი თქვენი ოსტატობა მაჩვენეთ, ვნახო, როგორ თამაშობთ... თუ არ მიუკადრისებთ, მსაჯი ვიქნები.

განა ენით გამოითქმის ჩვენი ბიჭების აღტაცება? როგორი საქმეა — ფეხბურთელის ფორმაში გამოწყობილი თამაშობდე და მსაჯად ბორის პაიჭაძე გყავდეს?! ელვის სისწრაფით დაიკავეს მოედანზე თავ-თავიანთი ადგილები. ვიღაცამ საიდანღაც მსაჯის სასტვენი

მოარბენინა და მის ხმაზე ჩვენს ეზოში ნამდვილი „დიდი ფეხბურთი“ გაჩაღდა.

ბორის პაიჭაძის მოსვლის ამბავი უცბად მთელ სახლს მოეფინა. არაჩვეულებრივ სანახაობაზე დასასწრებლად ერთიმეორეზე გამორბოდნენ მეზობლები. ხუთსართულიანი სახლი ხუთ იარუსად გაიჭედა — მაყურებლები ფანჯრებში გამოეფინენ. სახლმმართველი, ნანა და ია არტემ მექვაბიშვილის ბინას კიბეებზე ჩამოსხდნენ. უყურადღებობით განაწყენებული „ქალბატონი უალრესად“ შინ შევიდა, მაგრამ მალე მასაც ვერ გაუძლო გულმა და თავის განუშორებელ პოპსისთან ერთად ფანჯარაში გამოჰყო თავი.

ჩვენი ბიჭები კი ვერავის და ვერაფერს ამჩნევდნენ.

მანამდე არასდროს ასე შეწყობილად და კარგად არ უთამაშიათ, მაგრამ არც არასდროს ასე უკმაყოფილონი არ ყოფილან თავიანთი თამაშით...

ბოლოს მსაჯმა საათს დახედა, სამჯერ დაუსტვინა და ბიჭებს ხელით ანიშნა — კმარა, თამაში დამთავრებულიაო. „იარუსებზე“ ტაში დასცხეს და ჩვენმა ფეხბურთელებმა ახლაღა შენიშნეს, რომ ამდენი მაყურებელი მათ არასოდეს არ ჰყოლიათ. ისინი გარს შემოეხვივნენ ძია ბორისს და გაფაციცებით თვალებში შესცქეროდნენ — აბა, რას იტყვის ჩვენს თამაშზეო. მაგრამ მათი მსაჯი არ ჩქარობდა. მან ცხვირსახოცით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, მცირე ხანს უხმოდ ათვალიერებდა „დიდი ფეხბურთის“ მონაწილეებს და ბოლოს დინჯად იკითხა:

— კაპიტანი რომელია თქვენში?

არავინ მოელოდა ამ კითხვას. ბიჭებმა ერთმანეთს დაბნეულად გადახედეს, არ იცოდნენ რა ეპასუხათ.

მხოლოდ ბეჟანმა ერთბაშად რაღაც გადაწყვიტა გუნებაში და ის იყო აპირებდა ეთქვა — კაპიტანი მე ვარო, რომ ნიკამ დაიძახა:

— ჩვენი კაპიტანი გიგია.

— გიგია კაპიტანი, გიგი! — წამოიძახეს სხვებმაც.

თითქმის ძალად გამოაგდეს წინ თამაშისაგან, უფრო კი სირცხვილისაგან გაწითლებული მეცხრე ნომერი, რომელიც ყველაზე უკან გამდგარიყო. ძია ბორისმა ღიმილით ჰკითხა:

— შენი სახელი?

— გიგი.

— ქალაქის პირველობაში ხომ მიიღებს მონაწილეობას თქვენი გუნდი?

— რომელ პირველობაში? — იკითხა დაბნეულმა გიგიმ.

— ქალაქის პირველობაზე ჩვენ ვინ გვათამაშებს? — ჩაიცინა ნიკამ.

— რა პირველობაა, ძია ბორის? ჩვენ არაფერი გაგვიგია, — დაუმატა ვოვამ.

— როგორ არ იცით, რომ თხუთმეტი ოქტომბრიდან თბილისში იწყება ქუჩებისა და ეზოების ბავშვთა გუნდების საქალაქო პირველობა? ამ პირველობას აწყობენ ფიზკულტურისა და კომკავშირის თბილისის კომიტეტები, — ეუბნებოდა ბავშვებს ბორის პაიჭაძე. იმას კი აღარ უმატებდა, რომ ეს პირველობა თვითონ მისი თაოსნობით და ხელშეწყობით მომზადდა. — მე ვხედავ, რომ თქვენ ძალიან კარგად გისწავლიათ ფეხბურთის თამაში. ჰოდა, რატომ არ უნდა მიიღოთ მონაწილეობა ამ პირველობაში, სხვებს რატომ უნდა ჩამორჩეთ?

ვინ იცის, რა უფრო გაუხარდათ იმ წუთში ჩვენს ფეხბურთელებს: ის, რომ გაიგეს — საქალაქო პირველობა ეწყობაო, თუ ის, რომ ძია ბორისმა თქვა — „ძალიან კარგად გისწავლიათ ფეხბურთის თამაშიო“. ალბათ ორივემ თანაბრად გაახარა; თამაზი ცალ ფეხზე ციბრუტივით დატრიალდა და დაიძახა: „ვაშა-ა!“ მას სხვებიც აჰყვნენ. ეზოში ტაშისცემა და სიხარულის ყიჟინა გაისმა.

როცა ბიჭები ცოტათი დაწყნარდნენ, ბორის პაიჭაძემ თქვა:

— ოღონდ, იცოდეთ, პირველობაში მონაწილეობისათვის აუცილებლად საჭიროა ერთი პირობა: გუნდის არც ერთი მოთამაშე სწავლაში არ უნდა ჩამორჩებოდეს.

ამ სიტყვებმა კი სანახევროდ ჩააქრო ბიჭების სიხარული. ყველაზე მეტად გიგი დაღონდა. მან სათითაოდ გადახედა თავისი გუნდის წევრებს და თავი ჩაღუნა.

— რამ დაგაღონა, კაპიტანო, ცუდად გაქვს საქმე? — შეეკითხა მას ძია ბორისი. — რა ნიშნები გაქვს სწავლაში?

— ოთხები და ხუთები, — უპასუხა გიგიმ.

— მაშ, სხვების ბედი გაწუხებს? ბევრი ჩამორჩება?

— ბევრი არა, — მიუგო საჩქაროდ გიგიმ. — მიტოს წელს საშემოდგომო გამოცდა ჰქონდა, ახლა კი რამდენიმე ორიანი აქვს მიღებული. მუმუშასაც აქვს ცუდი ნიშნები, ბეჟანი კი... — გიგის ენა დაება. „ვაი თუ ბეჟანმა მიწყინოს, რომ ვთქვა მისი ამბავი“ — გაიფიქრა მან და შეყოყმანდა. მაგრამ უხერხული მდგომარეობიდან იგი თვითონ ბეჟანმა გამოიყვანა:

— ჩემზე ნუ სწუხარ, კაპიტანო, — დაცინვით უთხრა მან ისე, რომ სიტყვა „კაპიტანოს“ ხაზი გაუსვა. — მე თქვენს გუნდში არ ვითამაშებ.

— რატომ? — გულწრფელად ეწყინა გიგის.

ბეჟანმა არაფერი უპასუხა, გატრიალდა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა ჭიშკრისაკენ.

ჩვენს ბიჭებს ეწყინათ ბეჟანის წასვლა, მაგრამ უკან არავინ გამოდევნებია: ყველა გრძნობდა, რომ ნამდვილ პირველობაზე თამაშში ბეჟანი ხელის შეშლის მეტს არაფერს გააკეთებდა. მათ ახლა უფრო ის აწუხებდა, რომ მიტოს და მუმუშას თამაშის უფლება არ ექნებოდათ.

— ძია ბორის, — თქვა ნიკამ. — რა მოხდება, ვაპატიოთ მიტოს და მუმუშას ჩამორჩენა. თუ მაგათ არ ითამაშეს, ჩვენი გუნდი არაფრად ეღირება.

— არა, — უპასუხა ბორის პაიჭაძემ, — თქვენ აი, რა გააკეთეთ: პირველობამდე კიდევ ორი კვირაა დარ-

ჩენილი. თუ მართლა გაწუხებთ თქვენი ამხანაგების ბედი, მიეხმარეთ მათ სწავლაში, გამოასწორებინეთ ორები. თუ პირველობის წინ კლასის ხელმძღვანელის ცნობებს მოიტანენ, რომ ბეჯითად მეცადინეობა დაიწყეს და მალე ოროსანთა შორის აღარ იქნებიან, მაშინ მივცემთ თამაშის უფლებას.

— ვაშა-ა! — კიდევ ერთხელ შესძახა თამაზმა.

— პიონერულ სიტყვას გაძლევთ, ძია ბორის, რომ გუნდში ჩამორჩენილები აღარ გვეყოლება, — ყველას მაგივრად მისცა პირობა ვოვა ვოლკოვმა.

— კეთილი! — გაიღიმა ბორისმა, — მაშ, ასე! იმედია თხუთმეტ ოქტომბერს შევხვდებით ლენინის სახელობის სტადიონზე — შეჯიბრება იქ ჩატარდება. ტრუსები და მაისურები უკვე გქონიათ, ბუცებს და პაიჭებს სტადიონზე მიიღებთ... ნახვამდის, ბიჭებო!

— ნახვამდის, ძია ბორის! — ერთხმად უპასუხეს ბიჭებმა. შემდეგ ყოველმა მათგანმა ცალ-ცალკე ჩამოართვა ხელი სახელოვან ფეხბურთელს.

სახლის სადარბაზო შესასვლელამდე მიაცილეს ძია ბორისი, რომელიც თურმე მეოთხე სართულზე მცხოვრებ ნაცნობ ოჯახში მიდიოდა, შემდეგ კი თავიანთ ახალ ოთახში, ყოფილ სამრეცხაოში შეიკრიბნენ, სადაც გიგიმ მოთამაშეთა სია ჩამოწერა.

ყველა კმაყოფილი იყო დღევანდელი დღისა. უკვე იმის შესახებ დაიწყეს ოცნება, თუ როგორ გამოვიდოდნენ ნამდვილ სტადიონზე, როგორ ითამაშებდნენ პირველობის მატჩებს. მუმუშამ ისიც კი თქვა — თამაშის დროს აუცილებლად მე და გიგიმ ადგილები შევცვალოთ ხოლმე, ის შუამარბის ადგილზე გადმოვიდეს, მე კი ცენტრში, ეს მოწინააღმდეგის დაცვას დააბნევსო.

— შენ ის გირჩევნია, ორიანების შეცვლაზე იფიქრო, ადგილების შეცვლას მოესწრები! — ჩაიხითხითა თამაზმა.

— ვაიმე, მართლა, ორიანები! იქნებ შენ და მიტოს არც კი მოგვცენ თამაშის უფლება. — უთხრა ვოვამ.

— დავიღუპებით! — ნაღვლიანად თქვა კოლამ.

— არა, ბიჭებო, დღეიდან მე სხვა კაცი ვარ, — ამშვიდებდა მუმუშა ამხანაგებს. — თუკი მოვინდომე, ორიანს როგორ მივიღებ! ნახეთ, ერთ კვირაში სულ „ოთხებსა“ და „ხუთებს“ ჩამოვიმწკრივებ.

ამ სიტყვებმა ჩვენი ფეხბურთელები მაინც და მაინც ვერ დაამშვიდა. იცოდნენ — მუმუშას ტრაბახი უფრო ეხერხებოდა, ვიდრე სიტყვის შესრულება. ამიტომ ითათბირეს და გადაწყვიტეს თემო ტუღუშს, რომელიც პირველი კლასიდანვე ხუთოსანი იყო და სკოლაში ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა, კონტროლი გაეწია მუმუშასათვის, ყოველ დღე მასთან ერთად ემეცადინა, რათა ორ კვირაში მუმუშას ორიანების კვალიც აღარ დარჩენილიყო.

უფრო ძნელი იყო მიტოს საქმის მოგვარება. იგი სწავლაში მუდამ ჩამორჩებოდა და „ორებიც“ ბლომად ჰქონდა მიღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი მეცხრე

გიგი გუნებაში საკუთარ თავს ჰკიცხავდა. განა ერთხელ და ორჯერ ყოფილა იმის მოწმე, თუ რა საცოდავად იდგა მიტო დაფის წინ დარცხვენილი. მასწავლებელი მუდამ ეკითხებოდა ხოლმე: მითხარი, მიტო, რა გიშლის ხელს სწავლაში, იქნებ დახმარება გჭირდებაო? მიტო კი თავჩაღუნული იდგა და არაფერს პასუხობდა.

ელენე მასწავლებელმა ორჯერ დაიბარა არტემ მექვაბიშვილი სკოლაში. მაგრამ არტემი ერთხელაც არ გამოცხადდა. მაშინ მასწავლებელმა თვითონ მიაკითხა ბინაზე.

— ამხელა კაცს ხომ ვერა ვცემ, — უთხრა არტემმა ელენე მასწავლებელს, — საჭმელი მაგას არ აკლია და ტანსაცმელი, წიგნები თავზე საყრელი აქვს... ზარმაცია.

ელენე მასწავლებელი მაინც კმაყოფილი გამობრუნდა მიტოსაგან, რადგან არტემ მექვაბიშვილი შეჰპირდა: მიტოს ორიანების გამოსასწორებლად ყოველ ღონეს ვიხმარო. ღონე მართლაც იხმარა. მასწავლებელი ეზოდან გავიდა თუ არა, მოიხსნა ქამარი და მიტო ისე გალახა, რომ სულ მთლად დაუკარგა სწავლის ხალისი.

გიგიმ იცოდა, როცა არტემი სადმე მიდიოდა, სახლის კარს კეტავდა და მიტოს გარეთ სტოვებდა. და, რადგან არტემი ყოველთვის სადღაც მიდიოდა, მიტოს მეტწილად ეზოში უხდებოდა ყოფნა. ერთხელ კიბეზე ჩამოსძინებოდა და ღამის თორმეტ საათზე ძია ლევანს წაეყვანა მძინარი ბიჭი თავის სახლში. ერთი სიტყვით, მიტო მთელ დღეს ეზოში ატარებდა. როდისღა მეცადინეობდა — არავინ იცოდა. რატომ ერთხელ მაინც არ შესთავაზა გიგიმ თავის მეგობარს: ამოდი ჩემთან, ერთად ვიმეცადინოთო? რა თქმა უნდა, გიგი თავს დამნაშავედ გრძნობდა და სწორედ ამიტომ ჰკიცხავდა საკუთარ თავს. მიტოს სასწრაფოდ უნდა გამოესწორებინა ორიანები, რომ შესძლებოდა ეზოს გუნდში თამაში. გიგიმ ეს ვალდებულება თვითონ იკისრა. მეორე დღესვე შეუდგა საქმეს.

— იცი რა, მიტო, — უთხრა გზაში, სკოლიდან როცა ბრუნდებოდნენ, — დღეს ერთად მოვამზადოთ გაკვეთილები.

— მერე, სად ვიმეცადინოთ? — ჰკითხა მიტომ.

— ჩემთან.

— შენთან? არტემი მიშლის მეზობლებთან სიარულს.

— რატომ გიშლის?

— არ ვიცი... თუ დამინახა, მცემს...

— მაშ, რა ვქნათ?

— თუ გინდა, ჩვენს ოთახში ვიმეცადინოთ, — თქვა მიტომ ცოტა ფიქრის შემდეგ.

ბიჭებმა სამრეცხაოს, მას შემდეგ რაც გამოასუფთავეს და დაალაგეს, „ჩვენი ოთახი“ უწოდეს.




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგის მოეწონა მიტოს აზრი, გაუხარდა კიდეც. თავისი ჩანთა მეგობარს გაატანა ყოფილ სამრეცხაოში, თვითონ კი წავიდა, მამიდას გააგებინა რაშიც იყო საქმე და მაშინვე დაბრუნდა. შეუდგნენ მეცადინეობას...

— საიდან დავიწყოთ? — იკითხა გიგიმ.

— ალგებრიდან, მე ყველაზე უფრო ალგებრა მიჭირს, — უპასუხა მიტომ.

დაიწყეს ალგებრიდან... ნახევარ საათში საშინაო დავალება მზად ჰქონდათ. მიტოს სიხარულისაგან თვალები უბრწყინავდა და ერთთავად იმეორებდა: „უჰ, რა ადვილი ყოფილაო“. გიგიც კმაყოფილი იყო.

მოამზადეს რუსულიც, ქართულიც და გეოგრაფიაც. მარტო ისტორია დარჩათ. გაკვეთილი ჯერ მიტომ წაიკითხა ხმამაღლა, მერე გიგიმ. ჩაიკითხა თუ არა უკანასკნელი აბზაცი, მიტოს მიუბრუნდა:

— აბა, მოყევი, მიტო.

მიტომ პირი გააღო გაკვეთილის მოსაყოლად, მაგრამ რატომღაც შეკრთა და ერთ ხანს ასე იყო გაშეშებული.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა გიგიმ.

— მგონი არტემი მეძახის.

მიტოს მართლა ეძახდა არტემ მექვაბიშვილი. სასწრაფოდ წამოხტა სკამიდან და შეშინებულმა კარი გამოაღო.

— სადა ხარ, ამდენს რომ მაყვირებ, შე ოხერო! აქ რას აკეთებ?!

მიტო კედელს აეკრა. ოთახში თვალების ბრიალით შემოვიდა არტემ მექვაბიშვილი.

— აქ რას აკეთებ-მეთქი! — ისევ უღრიალა მიტოს.

— ვმეცადინეობდით, — შემკრთალი ხმით უპასუხა მიტომ.

არტემმა მიათვალიერ-მოათვალიერა ოთახი, გაუკვირდა. ახედა ჭერს, ჩამოიარა საფეხურები და ჩამოვიდა:

— ვა, შხაპიც არის? — იკითხა და მივიდა შხაპთან, მოუშვა — წყალი შხაპუნით წამოვიდა; რომ არ დასველებულიყო, არტემი განზე გახტა. აღტაცება ვერ დაფარა:

— მუშაობს?!

ბიჭები თვალს ადევნებდნენ გაფაციცებით. არტემმა გაიარ-გამოიარა, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო, ფანჯარაში გაიხედა, მერე შუა ოთახში დადგა, კიდევ ერთხელ მოავლო თვალი იქაურობას და თითქოს თავისთვის თქვა:

— ჰმ! ძალიან კარგია!

მიტო აბუზული იდგა კედელთან და ელოდა: საცაა მოვა არტემი, თავში წამომარტყამსო, მაგრამ მექვაბიშვილს მიტო არც გახსენებია, ჩაფიქრებულმა აიარა კიბეები და გარეთ გავიდა.

— უჰ, გადავრჩი, — ამოისუნთქა მიტომ.

— რატომ გადარჩი, განა უმიზეზოდ გცემს ხოლმე? — შეეკითხა გიგი.

მცემს.

— მერე?

— მერე, რა უნდა ვქნა?..

— ელენე მასწავლებლისთვის არ გითქვამს? — ჰკითხა გიგიმ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

— რას ამბობ, მომკლავს! — მიტომ შეშინებული თვალებით ისე მიიხედა კარისაკენ, თითქოს კარს იქით არტემ მექვაბიშვილი ეგულებოდა და ელოდა, სადაც არის შემოვაო.

— მაშ, მე ვეტყვი.

— არ უთხრა, გიგი, თუ ჩემი ძმა ხარ, არ უთხრა...

გიგის არაფრით არ ეგონა, თუ მისი სიტყვები ასე იმოქმედებდა მიტოზე.

— მართლა ასე გეშინია?

— შენ არ იცნობ არტემს. სარდაფში ჩამაგდებს, იქ კი ისეთი სიბნელეა, იმდენი ვირთხებია... — მიტოს წინადადება აღარ დაუმთავრებია — თვალზე ცრემლი მოადგა და ხმა ჩაუწყდა.

— რას ამბობ, მიტო, რომელ სარდაფში?...

— აი, იქ არის, ამ კედლის იქით, — გაიშვირა თითი მიტომ ყრუ კედლისაკენ, რომელიც მიწისა იყო.

— შესასვლელი საიდან აქვს?

— შესასვლელი? არტემის საწოლქვეშ კარია ამოჭრილი, იქიდან ჩადის ხოლმე.

— მერე და, რა გატირებს?

მიტოს ნიკაპი აუთამაშდა, ცდილობდა შეეკავებინა ტირილი, მაგრამ ვერ მოახერხა და მუშტებით იწმენდდა ცრემლებს. გიგი მივიდა, მხარზე ხელი გადაჰხვია და მოფერება დაუწყო. მიტო ბავშვივით მიეკრა მეგობარს.

— ერთხელ, — გაბზარული ხმით მოუთხრობდა მიტო, — არტემი მთვრალი მოვიდა, ღამე იყო... დედაჩემს წაეჩხუბა და სცემა. მერე თავისი საწოლი გამოსწია და სარდაფის კარი გააღო... დედაჩემი ჩააგდო... მე ღრიალი მოვრთე, ვტიროდი, რაც შემეძლო დედას ვეძახდი. არტემმა მეც მცემა და დამემუქრა: გაჩუმდი, თორემ შენც ჩაგაგდებო. მე არ გავჩუმდი... ო, როგორ მინდოდა, მეც ჩავეგდე და დედას ჩავხუტებოდი...

მიტომ ლაპარაკი შეწყვიტა. თვალებში ცრემლი ამოშრობოდა და მის ნაცვლად ბავშვური რისხვა ჩაჭგუბებოდა.

— მერე? — შეეკითხა გიგი ჩურჩულით.

— ამის შემდეგ დედაჩემს დიდხანს აღარ უცოცხლია... დედაჩემი ყოველთვის მარიგებდა: არავის უთხრა, შვილო, ეს ამბავი, ოჯახის საიდუმლოებას გარეთ ნუ გაიტან, სირცხვილიაო... აი, შენ გითხარი პირველად...

— ეჰ, — ამოიოხრა გიგიმ, — და მის თვალებზეც გაიელვა ცრემლმა. მერე გაბრაზებულმა დაუმატა: — ელენე მასწავლებლისათვის უნდა გეთქვა ყველაფერი!

— მე მაშინ სკოლაში არ დავდიოდი, ექვსი წლისა ვიყავი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ილია სიხარულიძე

ნახ. დ. ნოდიასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ძმურად გაინაწილეს

ორ ძმას — გივის და ილოს
მოუტანეს ნამცხვრები;
გივი ამბობს: „ამ ნამცხვრებს
მთლად მე შევჭამ, გავძღები!“

დედამ წარბი შეიკრა, —
გივის თვალს არ აცილებს,
უთხრა: „ილოს ნამცხვრები
ძმურად გაუნაწილე!“

გივის სახეს დაეტყო
მოწყენა და ცვლილება;
დედას ჰკითხა: „რა არის
ძმურად განაწილება?!“

— რა არის და, როგორც სწამს
ჩვენს ხალხს და ჩვენს უფროსებს.
ვისაც რა აქვს, გაჰყოფს და
უფრო მეტს სხვას უბოძებს.

გივიმ ხელად ნამცხვრები
სულ გადასცა ძმას, ილოს
და თქვა: „მაშ, თუ ეგრეა,
თვითონ გამინაწილოს!“

# როგორ გაიხარებდა!

ოჯახში ჩვენ სულ სამნი ვართ:
მე, დედიკო და ლია;
ლია, ჩემი უმცროსი და,
ჯერ პატარა ქალია,

მაგრამ დაუზარელი და
მოყვარული ბავშვია,
ფისო, ყურშა მაძღარი ჰყავს,
წიწილებსაც არ შიათ.

მამაკაცი მე ვარ სახლში,
სხვა — არავინ, ჩემს გარდა;
დედა ამბობს: „ვენაცვალე,
ვაჟი წამომეზარდა!“

მართლაც, მალე გავიზარდე!
ყველას უკვირს ეს ჩვენებს;
ახლა მე ცხენს თვითონ ვკაზმავ,
შევჯდები და ვაჭენებ!

ურემშიაც ვაბამ ხარებს,
ჩემს ნიშას და ნიკორას,
გავუყენებ შარაგზაზე
და ურემიც — მიგორავს!

ორი წლის წინ ვერ ვბედავდი
ახლოს მისვლას ხარებთან...
ეჰ, ცოცხალი იყოს მამა,
როგორ გაიხარებდა!...

შინ და გარეთ, ყველგან ვიცავ
პიონერის ღირსებას;
საოჯახო საქმეები
მიყვარს, მეხალისება;

დედას მუდამ მხარში ვუავარ,
სწავლას როცა მოვრჩები;
როცა იგი გამიღიმებს,
ავად ვიყო მოვრჩები;

დედა ხელოსანი არის:
ტანსაცმელის მკერავი;
მხნეს, მუყაითს, საქმის მცოდნეს,
მას ვერ სჯობნის ვერავინ!

მეც სწავლაში ამხანაგებს
ტოლს არ ვუგდებ არასდროს!
მე რა, ვიზე ნაკლები ვარ,
სხვამ რად უნდა გამასწროს?!

მე და დედა ვენახს ვუვლით,
როგორც მამა უვლიდა;
მამის ხსოვნას და სიყვარულს
რა აღმოფხვრის გულიდან?!

მამა თავზე გვევლებოდა,
ნიავს არ გვაკარებდა...
ეჰ, ცოცხალი იყოს ახლა
როგორ გაიხარებდა?!



ახლა ამ ბოქლომების გახსნა გაგვიხდა თავსამტვრევად. გატეხვა არ გვინდოდა, ეს ძველებური ბოქლომები თავისთავად იყვნენ ისტორიული მნიშვნელობის ძვირფასი საგნები, რადგან ისინი ოდნავაც არ წააგავდნენ თანამედროვეს. მათი გასაღების ჭუჭრუტანებსაც რაღაც უცნაური მოხაზულობა ჰქონდათ.

მოვიყვანეთ ბოქლომების ოსტატი ზეინკალი, კლიტეების და სახსნელების მთელი აკიდოებით, მაგრამ არცერთი კლიტე არ მიუდგა. ვერც თავისი სახსნელი კაუჭებით გააწყო რამე.

— ეს ძალიან ძველებური ბოქლომია, — წაიდუდუნა უკმაყოფილოდ ბებერმა ზეინკალმა სტეფანემ, — ამისი საიდუმლო ჩვენს დროში აღარავინ არ იცის. თუ არ გავტეხთ, ისე არაფერი გამოვა.

— უმჯობესია თქვი ხელოსნად არ ვარგივართქო, — დამცინავი ღიმილით უთხრა ტარიელმა, — ეს როგორ ვერ უნდა გააღო!

# მხატვრის შეგირდი



**აკაკი ბელიაშვილი**

ნახ. ლ. ცუცქირიძისა

— ეჰ, შენ რა იცი, შვილო, ჯერ ჯეელი ხარ,—წყენით უთხრა სტეფანემ,—თქვენი მუზეუმის სეიფებს, ბანკის კასებს, სულ მე ვაღებ. ამას წინათ მინისტრმაც დამიბარა, ძველებური, ოტენის ფირმის „ნესგარაემი კასა“ ედგა, გასაღები დაკარგოდა, ნახევარ საათში გავაღე. ისინი ადვილია. შენ ესა თქვი, ამის გაღება! შეუძლებელია! გაღება კი არა შენ გატეხვა თქვი, ძველებური ქართული ფოლადითაა ნაჭედი. არც ქლიბი კიდებს პირს, ვერც უროთი დააკლებ რამეს.

— მაშ გვასწავლე როგორ მოვიქცეთ?

— ოთხი ბოქლომია, ერთი ბოქლომი გავწიროთ, გავტეხოთ, იქ ვნახავ როგორ არის მოწყობილი, გასაღებს გავაკეთებ და დანარჩენს იმით გავხსნით.

— შენ იძახი გატეხვაც შეუძლებელიაო?

— სარჩილავის გასახურებელი ლამპით უნდა გავახუროთ, რომ ფოლადი მოლბეს, მერე ადვილია.

— სარჩილავი რაღა ოხრობაა? — იკითხა ტარიელმა.

— როგორ თუ რა არის, პაიალნიკი არ გაგიგონია?

— როგორ არა.

— ჰო და, იმას ქვია ქართულად. ეგ როგორ არ იცი, ნასწავლი კაცი ხარ. დარჩილვა ძველი ქართული სიტყვაა. ჰო და, იმას ვამბობდი, ამას გავახურებ, მოვალბობ, მერე ასე გავხერხავ, გავიგებ შიგნით როგორაა მოწყობილი, გასაღებს გავაკეთებ და დანარჩენებს იმით გავხსნი. თანახმა ხართ?

— მეტი რა გზაა.—დაეთანხმა ტარიელი.

სტეფანემ მოიტანა სახურებელი ლამპა, ხელსაწყოები, და საქმეს შეუდგა. ერთ საათში მას უკვე ხელში ეჭირა მოხსნილი ბოქლომი, ხოლო საღამო ჟამს ახალი გასაღებით დანარჩენი სამივეც გახსნა და ჩვენ გულის ფანცქალით მოვჰიდეთ კარებს ხელი.

ნელა გამოვაღეთ და ჯიბის ელექტროფარანი მივაშუქეთ. გამოჩნდა ვიწროთაღიანი გვირაბი, რომელსაც საფეხურებით სადღაც ჯურღმულში ჩავყავდით.

ტარიელი წინ წავიდა, თან გულდასმით ათვალიერებდა კედლებს და საფეხურებს, ნესტიანი შმორის სუნი იდგა.

ტარიელს დანარჩენები მივყევით. ყოველ ჩვენგანს ხელში ეჭირა ელექტროფარანი და მათ მიერ ნატყორცნი შუქის კონები უცნაურად ციაგებდნენ კედლებზე.

საფეხურებმა საკმაოდ მოზრდილ დიდთაღიან სარდაფში ჩაგვიყვანა. იატაკზე მიმობნეული იყო ცარიელი კასრები, ფიცრისა და ლარტყეების ნაჭრები, ძველი ძონძები. ყველაფერი ეს დაფარული იყო მტვრის სქელი ფენით. არავითარი კვალი აღარ ჩანდა ზანდუკებისა.

— სარდაფი ეტყობა გაძარცულია, — სთქვა მცირე

* გაგრძელება იხ. „პიონერი“ № 9.

დუმილის შემდეგ ტარიელმა.— ყოველ შემთხვევაში, აქ ვერავითარ ზანდუკებს ვერა ვხედავ. მაინც, შეიძლება აქ ბევრი რამ აღმოჩნდეს ისტორიული მნიშვნელობის.

ტარიელი მართალი აღმოჩნდა. ჩვენი ექსპედიციის მონაწილენი მაშინვე შეუდგნენ დიდის სიფრთხილით სარდაფში დარჩენილი ხარახურის წმენდას, გასუფთავებას და ყოველი ნივთის შესწავლას. ერთ ადგილას პატარა თავღია ყუთში წააწყდნენ ხელნაწერ რვეულებს. ეს იყო ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი აღმოჩენა, თუმცა აქ ბევრი რამ ვნახეთ საყურადღებო: ძველებური ხელსაწყო იარაღები, საჭრეთლები, ხელეჩო, ხუშტარები, სპილენძის ჭურჭელი; მაშინდელი სამფეხა სკამები და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ.

ხელნაწერი რვეულები კი მაშინვე დღის სინათლეზე ამოვიტანე და გადავათვალიერე. ფურცლები ლამაზი ხელით იყო ნაწერი. თავიდანვე ამბავი ისე საინტერესოდ იწყებოდა, — ვერაფრით ვერ მოვწყდი, სანამ ბოლომდე არ ჩავიკითხე. ვინაიდან ვგრძნობ,— ამ ხელნაწერის შინაარსი თქვენც გაინტერესებთ, იგი თავიდან ბოლომდე გადმოვიწერე, თანამედროვე ქართულით შევასწორე და, სანამ ამ ხელნაწერს მუზეუმში მონახავდეთ, ბარემ აქვე წაგაკითხებთ.

აი, ის ხელნაწერიც:

* * *

აქა ამბავნი რაიცა გარდახდა თავს მონას ღვთისას ოსტატის შეგირდს ჯარდანს.

სპარსეთის შაჰის, ნადირის მეფობის დროს ქართლი და კახეთი სპარსეთს ეპყრა. საქართველოს ციხესიმაგრეებში სპარსეთის ჯარები იდგა. თბილისში ორი ციხესიმაგრე იყო, ერთი მტკვრის მარცხენა მხარეს — მეტეხის ციხედ წოდებული, მეორე — მარჯვენა მხარეს; მას ძველად შურის ციხე ერქვა, შემდეგში კი ნარინ-ყალა, ანუ, როგორც მას ხალხი უწოდებდა, ნარიყალა. აქაც, ცხადია, სპარსეთის ჯარი იდგა და მათი გამგებელი იყო დურა-ხან-ბეგი, ყაზახელი მინბაში, ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ათასისთავი, ხოლო სულ თანამედროვე ტერმინოლოგიით — პოლკოვნიკი.

საქართველოს მეფეებს ტახტზე სპარსეთის შაჰები ამტკიცებდნენ და ესენიც მათი მორჩილები უნდა ყოფილიყვნენ, ეძლიათ ხარკი ფულით და საქონლით, ეგზავნათ ყოველწლიურად მათი ჰარამხანების დასამშვენებლად ასობით ულამაზესი ქალიშვილი, და ომიანობის დროს გამოეყვანათ ჯარი მათ დასახმარებლად.

ნადირ-შაჰი, სანამ ტახტზე ავიდოდა, ხორასნელი ყაჩაღების ბელადი იყო. მერე შაჰ-აბაზის ჯარში დაიწყო სამსახური და მალე სპარსეთის ჯარების მთავარსარდალი გახდა.

მან მრავალი ძლევამოსილი ლაშქრობა მოაწყო, დაამარცხა თურქები, ავღანელები, ილაშქრა ინდოეთზე, გაანადგურა მათი ურიცხვი ჯარი და აიღო ქალაქი დელი. ამ ლაშქრობებში მას განუყრელად ახლდნენ ჯერ თეიმურაზ მეორე და შემდეგ მისი შვილი ერეკლე მეორე. აქ განვლო ერეკლემ სამხედრო ხელოვნების უმაღლესი სკოლა და ნადირის ლაშქრობაში თავისი ნიჭით და გამჭრიახობით დიდად ისახელა თავი. ნადირ-შაჰი განსაკუთრებით სცემდა პატივს მამა-შვილს — თეიმურაზსა და ერეკლეს, და ამიტომ დაამტკიცა ორთავე ქართლკახეთის მეფეებად. საქართველოს მეფეები ითვლებოდნენ სპარსეთის სამეფოს პირველ კაცებად და შემდეგში, როდესაც ერეკლე გაერთიანებულ ქართლ-კახეთის მეფედ გახდა, მისი დასტურის გარეშე სპარსეთის ტახტზე ვერავინ გაბედავდა დაჯდომას.

ნადირ-შაჰის მეფობის დროს საქართველოს ეს ორი სამეფო დიდი შეღავათებით სარგებლობდა, მაგრამ თავისი მეფობის ბოლო ხანებში ნადირ-შაჰი ეჭვებმა შეიპყრო. მას სულ ელანდებოდა, რომ მოკვლას უპირებდნენ და ამიტომ თავის ახლობლებს დაერია. ჯერ თავის შვილს დათხარა თვალები, ტახტს მეცილებიო, მერე ვეზირებს დააყრევინა თავები, რათ არ დამიშალეთ, თუ კაი კაცები იყავით, შვილს რომ თვალებს ვთხრიდიო. მერე მთელი სპარსეთის გაწყვეტა მოინდომა, რადგან თვითონ ეროვნებით სპარსელი კი არ იყო, არამედ ბახტიარი და სულ სპარსელების მუხანათობა ელანდებოდა. თანაც თავის მორჩილ ქვეყნებს დიდი ხარკი გააწერა, მათ შორის საქართველოსაც.

ნადირი მართლაც მოკლეს შეთქმულებმა და ტახტზე ავიდა ალი-შა, მას ცოლად მეფის თეიმურაზის ქალიშვილი ქეთევანი ჰყავდა.

როდესაც თეიმურაზი სპარსეთს გაემგზავრა თავის სიძესთან, მან ქართლის გამგებლად თავისი შვილი კახეთის მეფე ერეკლე დატოვა.

სპარსეთის ახალ მბრძანებელს ალი-შას დიდხანს არ უმეფნია. მის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო მისივე ძმამ იბრაიმ-ხანმა. მან ჯერ მოკლა ალი-შას ერთგული ვეზირი ზორაბ-ხან საავაძე, შემდეგ შეიპყრო თვით ალი-შა და თვალები დათხარა. სპარსეთში არეულობა დაიწყო.

თბილისის მეციხოვნე ჯარის სარდალმა დურა-ხანმა ზურგი შეაქცია თეიმურაზსა და ერეკლეს, მიემხრო იბრაიმ-ხანს და თავისი ჯარით ჩაიკეტა ციხეში. დურა-ხანს მიბაძეს თბილისის მცხოვრებმა მაჰმადიანებმა, აიყარნენ თავიანთი სახლებიდან, ციხეში ჩაიკეტნენ ბარგი-ბარხანით და დაუწყეს ლოდინი იბრაიმ-ხანის ჯარების მოსვლას...

დურა-ხანს მიემხრო საბარათიანოს მმართველი აბდულა-ბეგი, დანიშნული ამ თანამდებობაზე თეიმურაზის მიერ.

ეს აბდულა-ბეგი იყო შვილი გამაჰმადიანებული იესე მეფისა, რომელიც მეფობდა თბილისში თეიმურაზამდე, თურქების ბატონობის დროს. ახლა სპარსეთის საქმეების არევ-დარევამ აბდულა-ბეგს იმედი გაუღვიძა, რომ იგი ქართლის ტახტს ჩაიგდებდა ხელში, შეუთვალა იბრაიმ-ხანის თანამონაწილეს აზერბაიჯანის და

მთელი სპარსეთის განმგებელს ამირ-ასლან-ხანს, საჩქაროდ ჯარები მომაშველეო, და თვითონ მომავალი გამარჯვებით აღსავსე დურა-ხანთან მივიდა ნარიყალას ციხეში.

აჰირ ასლანმა დახმარება არ დააყოვნა, მისი ჯარი მოულოდნელად მოვიდა და სალალაკში დაბანაკდა.

ერეკლეს იმ ხანებში თბილისში ჯარი არ ჰყავდა. ლაშქრის მოწვევას ქართლიდან და კახეთიდან სულ ცოტა ერთი კვირა მაინც ჰირდებოდა. დრო კი არ ითმენდა.

თავზარი დაეცათ ქალაქის მცხოვრებლებს. მათ კარგად იცოდნენ, რომ ერეკლეს თბილისში ჯარი არ გააჩნდა და ისეთი ალიაქოთი ატყდა ქალაქში, ისეთი აურზაური — ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობდა. ყველანი ცდილობდნენ, როგორმე გაესწროთ ქალაქიდან, სასწრაფოდ კრავდნენ ბარგს და თავიანთი ცოლ-შვილით, ძუძუმწოვარა ბავშვებით და მოხუცებით ქალაქის ხიდებს მიაწყდნენ, უნდოდათ ავლაბრის გზით გაესწროთ და თავისათვის ეშველათ. მაგრამ მეტეხის მეციხოვნეებმა გზა გადაუკეტეს და თოფები დაუშინეს. ერეკლემაც ქალაქის მოურავი გაგზავნა, ქალაქის კარიბჭეები ჩააკეტინა. ბრძანა ქალაქიდან არავინ გაეშვათ. თავზარდაცემული მოქალაქენი სასახლის მოედანზე მოზღვავდნენ და ისეთი აურზაური, ყვირილი და დავიდარაბა ასტეხეს, ყურთასმენა აღარ იყო. ყველანი ერთად ყვიროდნენ. ქალაქიდან გაგვიშვით, კარიბჭე გაგვიღეთ, თავს ვუშველოთო. ვერც დიდებულებმა, ვერც ერეკლემ ხალხი ვერ გააჩუმეს.

ერეკლეს არასოდეს მტრის სიმრავლისა არ შეშინებია. მან იცოდა, რომ ყველაზე საშინელი ხალხის ან ჯარის ასეთი აფორიაქება იყო.

საჭირო იყო ხალხის გაჩუმება და დაშოშმინება, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. არა თუ ერეკლემ, ისეთი ძლიერი ხმის მქონე კაცმა, როგორიც დიმიტრი ორბელიანი იყო, რომლის ერთი ამოძახილი მეფის დარბაზის კანდელზე ერთიანად აქრობდა ორმოცდაათ ქელაპტარს, ასეთი ხმის მქონემაც ვერ შეძლო დაეძლია თავზარდაცემული ხალხის ღრიანცელი და ქალების წივილ-კივილი. „ჩვენ მხოლოდ სასწაული თუ გვიხსნისო“, ებრძანებინა ერეკლეს და, მართლაც, თუ სასწაული არა, სასწაულებრივი ამბავი მაინც მოხდა.

ინდოეთში ლაშქრობის დროს ბატონს ერეკლეს ტყვეობიდან ეხსნა ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭუნა, ვიღაც ხელოსან-ოსტატის შეგირდი, სახელად ჯარდან. იგი სულ პატარა ყოფილა, სამი თუ ოთხი წლისა, როდესაც თავის მშობლებთან ერთად საქართველოდან გაუტაცნიათ და ინდოეთის ბაზარზე გაუყიდნიათ. პატარა ჯარდან ჯერ მოხეტიალე ჯამბაზს უყიდნია და პატარაობიდანვე თავის ოსტატობას ასწავლიდა თურმე, აჩვევდა თოკზე სიარულს, ხმლის პირზე ფეხშიშვლად დგომას, ხელყირა დგომას, ხელდაუკარებლად სამსა და ოთხ აქლემზე ხტომას, მერე მხატვრის შეგირდი გამხდარა.

როდესაც ნადირ-შაჰის ჯარებთან ერთად ქართველთა რაზმები ინდოეთს შეიჭრნენ, ჯარდანმა ყური მოკრა ქართულ ლაპარაკს და, მართალია, იგი თითქმის მთლიანად დავიწყებული ჰქონდა, მაინც იგრძნო თავისიანები და მათთან მივიდა. რაკი ქართველმა ბიჭებმა შეიტყეს ჩვენიანი ყოფილაო, მაშინვე ბატონს მიგვარეს, მან კი ცხენი და იარაღი უწყალობა და თავის რაზმში ჩარიცხა. ჯარდანმა რამდენიმე დღეში გაიხსენა ქართული და, ვინაიდან კარგად ლაპარაკობდა ინდურად, მას შემდეგ სულ ბატონს ახლდა თარჯიმანად. თანაც ყოველ ნადიმობა-ზეიმში ართობდა ყველას თავის მუშაითობით. მეტსახელად მას ყველა ოსტატის შეგირდს ეძახდა და ეს სახელი შერჩა ბოლომდე. როდესაც ბატონი ერეკლე თბილისს დაბრძანდა გამგებლად, ჯარდანი მაშინ ოცდაორი წლის ჭაბუკი იყო, მხნე და კისკასი, თან ჩამოჰყვა ბატონს და ცხოვრობდა გოდერძისეულ სახლში, ერთი პატარა მინაშენი ოთახი ეჭირა ქირით. გოდერძი ხის მჭრელი ხარატი და მეჩუქურთმე ხელოსანი იყო. ჰყავდა ტურფა ასული, სახელად მზეხათუნი, რომელსაც უბნელები თბილისის მშვენებას უწოდებდნენ. ჯარდანმა, როდესაც იხილა ეს მშვენიერი ტურფა ასული, მაშინვე მისი ტრფობა აღეძრა, მაგრამ თავისი გრძნობის გამხელას ვერ ბედავდა, ქონება არაფერი გააჩნდა, ხელობაც არა იცოდა რა, ხელმწიფის უბრალო ჯარისკაცი იყო და თავის ჯამაგირით აბა როგორ შეინახავდა ოჯახს. თურმე მზეხათუნსაც გულში ჩავარდნოდა ჭაბუკი. მაგრამ მამამისის ნებართვის გარეშე როგორ გაბედავდა თანაგრძნობით ეპასუხა, კიდევაც რომ გაებედნა ჯარდანს და გაემხილა მისთვის თავისი გულისნადები.

ესენი რომ ამ უბედურებაში იყვნენ და ერთმანეთის ტრფობით უცეცხლოდ იწვოდნენ, ამასობაში სპარსეთის მეციხოვნე ჯარის მეთაურს, დურა-ხანს თვალი მოეკრა მზეხათუნისთვის და იმასაც ტრფობის ცეცხლი მისჭროდა. ძალით ვერ წაართმევდა, რადგანაც გოდერძი სასახლის კარის ოსტატი იყო, ამიტომ მოციქულები მიუგზავნა და შეუთვალა, შენი ქალი გამირიგე, სულ ფარჩააბრეშუმებში ვატარებ, ოქროს და თვალმარგალიტს არ დავაკლებ, შენ კიდევ ას თუმანს მოგართმევ და სამ ყარაბაღულ ცხენსაო.

გოდერძიმ შორს დაიჭირა. განა რა გამჭირვებია ქალი ურჯულოს არ გავატანო, ცოტანი არიან ქართველები ამ ქვეყნად, რომ სასიძო ვეღარ ვიშოვოო!

ბევრი კიცხავდა გოდერძის. ეგ სულელი ყაენის პირველ კაცს, ციხისთავს უარს ეუბნება, მაშ ვის სურს ქალი მიათხოვოსო. თუკი თვითონ მეფე თეიმურაზმა თავის ქალი ყიზილბაშს ალი-შას გაატანა, ეგ ვინა გდია, ერთი უბრალო ხარატია და ჩუქურთმის მჭრელი, ხომ არ ჰგონია მაგის ქალს თავადი ან მეფის შთამომავალი შეირთავსო.

ზოგი პირიქით აქებდა. კაცი ეგ ყოფილა, თავის რჯულსა და ადათს არ კარგავს, თავის მიწის შვილს უნდა ოჯახში ფეხი შეადგმევინოს, ქართულ მიწა-წყალს თავისი კვალი არ წაუშალოსო.

მეტეხის ციხესა და ნარიყალაში
სპარსეთის ჯარი იდგა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარდანმა გადაწყვიტა ერეკლესათვის გაემხილა თავისი გულისწუხილი და მფარველობა ეთხოვა, მაგრამ ამ დროს თბილისში ალი-შას უბედურების ამბავი მოვიდა, დურა-ხანი ციხეში შეიხიზნა მაჰმადიან მცხოვრებლებთან ერთად და თავისი მეციხოვნეების დახმარებით მზეხათუნიც გაიტაცა.

ჯარდანი კაეშანმა შეიპყრო. დარდისაგან კინაღამ წყალში გადავარდა. ისევ გოდერძიმ ანუგეშა. თანაც შეპირდა: თუ ჩემს მზეხათუნს ტყვეობიდან იხსნი, ცოლად შენ გაგირიგებო. მე ვიცი ჩემი ქალის ხასიათი, თავს მოიკლავს და არ დათანხმდება დურა-ხანს ცოლად გაჰყვესო.

ასეთმა დაპირებამ ჯარდანი უფრო გააგიჟა. დააპირა ციხეში შეპარვა რათა ტყვეობიდან ეხსნა მზეხათუნი, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მეციხოვნენი თოფით კლავდნენ, ვინც კი ციხის კედლებთან მიახლოებას გაბედავდა. დღისით და ღამით განუწყვეტლივ სდარაჯობდნენ ციხესთან მისადგომებს, რადგან ერეკლესი ეშინოდათ: სანამ იბრაიმ-ხანის ჯარები მოგვეშველებოდნენ, საქართველოს მეფე თავს არ დაგვესხასო.

როდესაც ამირ-ასლანის ჯარი მოულოდნელად მოადგა თბილისს სალალაკის მხრიდან და ქალაქის მოსახლეობაში ასეთი ალიაქოთი ატყდა, ხოლო ერეკლემ აღარ იცოდა რით დაეშოშმინებია ხალხი, ამ დროს ჯარდანი ეახლა მეფეს და წასჩურჩულა: თუ ნებას მომცემ, ხალხს მე შევიქცევ და გავაჩუმებ, მერე თქვენ უბრძანეთ რაც გენებოთო. ერეკლე გაოცდა და დასტური მისცა.

მაშინ ჯარდანმა მეფის ნაღარ-ხანის დამკვრელებს ანიშნა საჭიდაო დაუკარითო. მოედანზე გამოვიდა და სახიობთა ხელოვანების შესრულებას შეუდგა. დაჰკრა ფეხი, მაღლა ავარდა, ჰაერში ყირაზე ორჯერ გადატრიალდა და ისევ ფეხზე დახტა.

ხალხმა ეს რომ დაინახა, ეს რა ვნახეთო, გაოცებისაგან ხმა ჩაიკმინდეს. ყვირილი და ღრიანცელი მიწყნარდა და ყველა ჯარდანს მიაცქერდა. მან კი რამდენჯერმე გაიმეორა თავისი ოსტატობა, ჯერ ცხენოსან მხედარს გადაახტა თავზე, მერე აქლემი მოჰგვარეს და იმას გადაევლო თავზე, თანაც ჰაერში ბორბალივით ტრიალებდა.

სანამ ესენი ასე ერთობოდნენ, ვერც კი შეამჩნიეს, როგორ გამობრძანდა შეიარაღებული მეფე და მისი ამალა, როგორ გამოიყვანეს საჯინიბოდან ცხენები და ზედ შესხდნენ. მარტო მაშინ გამოერკვნენ, როდესაც მუსიკოსებმა მოულოდნელად შეწყვიტეს დაკვრა და გაისმა ბატონის ერეკლეს ხმა:

— გეყოფათ გართობა, მამაკაცნი, ვისაც იარაღის ხმარება შეუძლია, ყველანი მოჰგვყევით, ამქრის მედროშენი წინ წაუძღვებიან თავიანთ ამქრებს, ვაჩვენოთ მტერს, რომ ჩვენც კაცნი ვართ და ქუდი გვხურავს.

მეფის ამ სიტყვებმა მოულოდნელად გამოაფხიზლა ხალხი. ოსტატებმა და ხელოსნებმა, რომელნიც აქამდე ოჯახის გახიზვნაზე და გაქცევაზე ფიქრობდნენ, დასტაცეს ხელი იარაღს, თავიანთი დროშების გარშემო მოგროვდნენ და ერეკლესთან ერთად გავიდნენ საბრძოლველად.

მტრის ჯარი არ მოელოდა ასე უცბათ და მოულოდნელად ქართველი მეფის თავდასხმას. მათ იცოდნენ, რომ ერეკლეს თბილისში ჯარი სრულიად არ ჰყავდა და ეგონათ, რომ იგი ქალაქში ჩაიკეტება და, სანამ ჯარებს არ მოიხმობს, ჩვენთან შებმას ვერ გაბედავსო. ამიტომ ფიქრობდნენ, ქალაქს ალყას შემოვარტყამთ, იერიშით ერთ-ერთ კარიბჭეს შევლეწავთ და გამარჯვებაც ჩვენს ხელთ იქნებაო. მაგრამ მათ სალალაკის ბაღებში დაბანაკებაც კი არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ ამ დროს მოულოდნელად გაიხსნა სალალაკისა და წყლისკარის კარიბჭეები და იქიდან ჯერ ცხენოსანი ჯარი გამოთქარუნდა, ხოლო შემდეგ ქვეითებიც მოყვნენ. ყოველ მათ გუნდს წინ თავისი დროშა მოუძღოდა.

ერეკლე ბატონის რაზმი ელვის უსწრაფესად შეიჭრა მტრის ჯარების შიგ შუაგულში და, სანამ ისინი გონს მოსვლას მოასწრებდნენ, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მათ.

გამარჯვებამ მთელი თბილისი აღაფრთოვანა. ლხინსა და ზეიმს ბოლო არ უჩანდა. მაგრამ ამ გამარჯვებას ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა რქმეოდა ეს სახელი, რადგან თბილისის ციხეებში მეტეხსა და ნარიყალაში ისევ სპარსეთის მეციხოვნენი იყვნენ ჩაკეტილ-გამაგრებულნი

ამიტომ ერეკლე მაშინვე შეუდგა იმისათვის ზრუნვას, რომ ქალაქის ორივე ეს ციხესიმაგრე აეღო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



არნო ონელი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

# დოყლაპია

[ზღაპარი]

1.

ერთ სოფელში, სადაც ყველა
ბეჯითი და გამრჯე გახლდათ,
იყო ერთი ძილისგუდა,
იყო ერთი ახალგაზრდა—

ზარმაცსა და დოყლაპიას
მას სახელად ერქვა გია.

თავის თავის სავალალოდ,
და მტერ-მოყვრის დასაცინად—
გოდრისხელა თავი ჰქონდა,
ჭკუა სულ მთლად პაწაწინა.

ერთი ძველი ქოხი იყო
მისი ციხე-გალავანი;
არც ცოლ-შვილი! არც ძმაკაცი!
არც ჭური და არც მარანი!...
დახეული ჩოხა ეცვა,
დაბანდული ქალამანი!...

წერა-კითხვა? ცოდნა? აქ კი
ზედმეტია ლაპარაკი.

ერთხელ, ბევრი ფიქრის შემდეგ,
არც აცივა, არც აცხელა,
გია ბრძენთან გაეშურა
ჭირ-ვარამის გასამხელად...

2.

უღრანი ტყე. გიას ახლოს
სადღაც გატყდა ფიჩხი ხმელი,
და ბილიკზე ოხვრა-კვნესით
გამობობღდა რუხი მგელი.

—გამარჯობა, კაი კაცო!
საით მიხვალ, ეძებ ვინმეს?
—ბრძენთან მივალ, იქნებ მითხრას
როგორ ვძლიო სიღარიბეს.

ეს რომ მგელმა გაიგონა,
ასე უთხრა ზარმაც გიას:
—სამი თვეა კუჭი მტკივა,
მიზეზი ვერ გამიგია;



გეხვეწები მხოლოდ ამას—
ჰკითხე იმ ბრძენს, იმ ჯადოქარს
ხომ არ მირჩევს რამე წამალს?

—კარგი, ვკითხავ! —უთხრა გიამ
და მგელს თავი დაუქნია.

უღრანი ტყე გაიარა,
ისევ მთა და ისევ ბარი...
აქ ვაშლის ხე მიესალმა
ტრიალ მინდვრად მარტო მდგარი:

—გამარჯობა, კაი კაცო,
საით მიხვალ, ეძებ ვინმეს?
—ბრძენთან მივალ, იქნებ მითხრას
როგორ ვძლიო სიღარიბეს.

ეს სიტყვა რომ შემოესმა,
ასე უთხრა ვაშლმა გიას:
—რაც რომ გავჩნდი, ერთი დარდის
მიზეზი ვერ გამიგია—
გაზაფხულზე, როცა ყვავილს
შემოვისევ თეთრ პეპლებად,
იმ დღესავე, იმ წუთსავე
დაჭკნება და იფერფლება
და, ცივა თუ არა ცივა,
გულსაკლავად ძირსა ცვივა...
გეხვეწები მხოლოდ ამას—
ჰკითხე იმ ბრძენს, იმ ჯადოქარს
ხომ არ მირჩევს რამე წამალს?

—კარგი, ვკითხავ,—უთხრა გიამ
და ვაშლს თავი დაუქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ-მინდორი გაიარა,
ბევრ შიშსა და ხიფათს ასცდა
და ძალ-ღონის მოსაკრებად
შეისვენა ერთ დიდ ტბასთან.

ორაგული იმ დიდ ტბიდან
მიესალმა ტკბილი ხმითა:

—გამარჯობა, კაი კაცო,
საით მიხვალ, ეძებ ვინმეს?
—ბრძენთან მივალ, იქნებ მითხრას
როგორ ვძლიო სიღარიბეს.

ეს რომ თევზმა გაიგონა,
ასე უთხრა ზარმაც გიას:
შვიდი თვეა ყელი მტკივა,
მიზეზი ვერ გამიგია;
გეხვეწები მხოლოდ ამას—
ჰკითხე იმ ბრძენს, იმ ჯადოქარს
ხომ არ მირჩევს რამე წამალს?

—კარგი ვკითხავ! — უთხრა გიამ
და თევზს თავი დაუქნია.

რა გზები არ გაიარა,
ალაგ—ხევი, ალაგ—მდელო,—
ყველგან შრომა ზეიმობდა
მთელი ქვეყნის სასახელოდ.

ეს რა ხმები მომხიბლავი
დარხეულა მინდორ-ველად:
გუთნეული ყანას ხნავდა,
გუგუნებდა ოროველა...

3

მიდის გია... უცებ მთაზე,
ცისფერ ნისლით შუბლს რომ იხვევს,
დიდებულს და საოცნებოს
თვალი მოჰკრა ბროლის ციხეს.

იმ დიდებულ ციხე-კოშკში
იჯდა ბრძენი ჯადოქარი,
ხან გულმშვიდი, ხან მრისხანე,
გრიგალივით ბობოქარი.

საიდანღაც მტრედი გაჩნდა,
დააფრინდა გიას მხარზე.
ყურზე სამჯერ ფრთა შეახო,
და ღუღუნით უთხრა ასე:

— იმ კოშკს ხედავ? იქიდან ვარ,
ჩამოვსულვარ მთიდან ბარად,



ჯადოქარმა გამომგზავნა,
მეწვიოსო, დამაბარა,

4

ჰა, გაუღეს ალაყაფი,
მერე კიდევ ასი კარი...
დიდ დარბაზში ბრძანდებოდა
დიდი ბრძენი ჯადოქარი.

მის წინ გია მოწიწებით
წარსდგა, თავს ჰხრის,
აძლევს სალამს,
ხოტბა-ქებით იხსენიებს
მის ჯადოსნურ აზრს და ძალას.

ბოლოს წელში გაიმართა,
მოიქარგა ენა-პირი

და ჯადოქარს მოახსენა
თვისი დიდი გასაჭირი.

—სულ ეგ არის? იქნებ კიდევ
სხვა რამ გნებავს?
თქვი ბარემაც!—
მანაც ამცნო მგლის, ვაშლის და
ორაგულის მწუხარება.

ბრძენმა უთხრა, იმ ორაგულს
გასაჭირი ადგას დიდი.—
საწყალს ყელში გასჩხერია
სამი დიდი მარგალიტი.
ამოუღე... და იმ წამსვე
სამუდამოდ მორჩეს იგი!

ვაშლის ძირას არის ბევრი
ოქრო-ვერცხლით სავსე ქვევრი,
ამოთხარე — შენც იხარებ
და იმასაც გაახარებ!

მგელს კი ასე მოახსენე:
უტკივრად რომ დიდხანს გასძღოს,
სადაც შეხვდეს პირველ ზარმაცს,
იმ წუთშივე გადასანსლოს.

—ჩემს თხოვნაზე რას მეტყოდით?—
ჰკითხა გიამ. ბრძენი სდუმდა.
ბოლოს უთხრა:—შენი თხოვნაც
შესრულდება, რა თქმა უნდა!

გიას დიდად გაეხარდა,
ბრძენს მუხლმოყრით თაყვანი სცა,
ზეცა ქუდად აღარ უჩანს
და ქალამნად დედამიწა.





ფრთა შეისხა გიამ ორბის,
ქუდმოგლეჯით შინ გამორბის.

ჰა, მდინარეც. თევზმა ძლივას
მოაბრუნა პირში ენა:
— მითხარ მალე, მითხარ ჩქარა,
რა მირჩია დიდმა ბრძენმა?

— თურმე გტანჯავს, შე საწყალო,
მარგალიტი სამი ცალი,
ამოილებ... გააბრწყინებს
თვალს სიამის ნაპერწკალი!

გია ბიჭმა ესა თქვა და
წასასვლელად მოემზადა.

თევზმა უთხრა: ამომილე,
ეს პატივიც დამდე ბარემ,
ძმაო, შენ ხომ გამდიდრდები,
მეც ამ ქვეყნად გავიხარებ!

—რასა ბრძანებ! სად მცალია
სხვისი გულის გასახარად?
შინ რომ მივალ, იქ დამხვდება
მე სიმდიდრე თავსაყარად.

გამალებით მიდის გია,
კი არ მიდის, დავლურს უვლის,
არასოდეს არ უნახავს
დღე ასეთი მხიარული.

ვაშლის ხემ რომ დაინახა,
ფოთლებმაც კი ტაში დაჰკრეს:

—ძმაკაც გიას გაუმარჯოს!—
და თვალები მას მიაპყრეს,—

გვითხარ მალე, გვითხარ ჩქარა,
იმ ბრძენმა რა დაგაბარა!

—იცით, თურმე, აქ მარხია
ოქრო-ვერცხლით სავსე ქვევრი,
როცა ამ ქვევრს ამოთხრიან,
მოგეცემათ ლხენა ბევრი!

გია ბიჭმა ესა თქვა და
წასასვლელად მოემზადა.



ვაშლმა უთხრა: ამოთხარე,
ეს პატივიც დამდე ბარემ,
ძმაო, შენ ხომ გამდიდრდები,
მეც ამ ქვეყნად გავიხარებ!

—ვერ მოგართვი, სად მცალია,
სხვისი გულის გასახარად!
ბრძენმა ბრძანა: შინ სიმდიდრე
დაგხვდებაო თავსაყარად!

გამალებით მიდის გია,
კი არ მიდის, ბუქნას უვლის;
როცა ტყეში შეჰყო თავი,
მგელი შეხვდა გულწასული:

—ნუ, ნუ მომკლავ, მითხარ ჩქარა,
იმ ბრძენმა რა დაგაბარა?

—ასე მითხრა: რომ მორჩესო
სამუდამოდ... სულ მთლიანად,—
ზანტი კაცი შეჭამოსო
თავის გუდანაბდიანად.

მერე გიამ ამცნო აქვე
ვაშლისა და თევზის საქმე:
—წელი რისთვის მომეწყვიტა,
ანდა ოფლი რად მეღვარა?
შინ რომ მივალ, იქ დამხვდება
მე სიმდიდრე თავსაყარად!

მგელმა თვალნი ცად აღაპყრო,
ვერ დამალა გულის ზრახვა:
„ამისთანა ზანტს და ზარმაცს
ბევრიც ვძებნო, ვერსად ვნახავ!“—

ესა თქვა და შემზარავად
დააფჩინა მყისვე ხახა,
ეცა გიას, და მთლიანად—
თავის სიზარმაციანად
მუცლისაკენ გადუძახა.

ასე გაჰქრა სოფლად გია,
ზარმაცი და დოყლაპია.

## ხუტა ბერულავა — „ჩემი ნობათი“

ხუტა ბერულავას საბავშვო ლექსებისა და პოემების კრებული—„ჩემი ნობათი“, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოსცა „საბლიტგამმა“, ბევრმა თქვენგანმა ალბათ უკვე წაიკითხა. წიგნში სამოცამდე ლექსი და პოემაა მოთავსებული. ბევრი მათგანი ნაცნობი აღმოჩნდება თქვენთვის, ზოგს კი პირველად გაეცნობით.

ნიჭიერი პოეტი კარგად იცნობს თქვენს ცხოვრებას, თქვენს საყვარელ სამყაროს. სადა, ნათელი და მიმზიდველი მისი ნაწარმოებები ლაღად, ინტერესით იკითხება. ხუტა ბერულავა ოსტატურად ხატავს თქვენს პიონერულ ცხოვრებას, თქვენს წარმატებებს სწავლასა და შრომაში, შინ და გარეთ, სკოლასა თუ ოჯახში, უმღერის თქვენს ნათელ მომავალს. პოეტის ოცნებაა სამშობლო ქვეყნის სახელოვანი ადამიანები გახდეთ.

ბევრი ჩვენი სახელოვანი მეცნიერი, მშენებელი, სახალხო მოღვაწე თუ სახელგანთქმული გმირი წარსულში პიონერის ყელსახვევს ატარებდა:

გაჰყევით მედგრად
გზასავალს მზიანს.
როგორც ვაჟკაცურ
თაობას შვენის!
დაე, აქ გაზრდილ
რჩეულთა სიას
შემატებოდეს
გვარებიც თქვენი!—

ასე მიმართავს პოეტი თბილისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებს თავის ერთ-ერთ ლექსში. თბილისის პირველ საშუალო სკოლაში კი—ყოფილ ქართულ გიმნაზიაში—თქვენ კარგად იცით, რომ ილია, ბარათაშვილი და ჩვენი სამშობლოს არაერთი გამოჩენილი მოღვაწე აღიზარდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალფეროვანია „ჩემი ნობათი“. თუ როგორ გადიქცა ოქროწყარო შავწყაროდ და რა მოსდევს ამაყობასა და ყოყოჩობას,—თქვენ ამას წაიკითხავთ ბალადაში „წყაროს თავგადასავალი“.

ჩამაფიქრებელია „სოხუმელი ბიჭების“ სუჟეტი. აქ თქვენ გაიგებთ თუ რა მოსდის იმას, ვინც კოლექტივს გაეთიშება და თავის „მეს“ ყველაფერზე მაღლა დააყენებს.

კრებულში სხვაც ბევრი საინტერესო ნაწარმოებია მოთავსებული: ლექსები ლენინზე, მშენებლობაზე, სწავლასა და შრომაზე, სამამულო ომის გმირებზე, სამშობლო ქვეყნის ბუნებაზე და მისდამი სიყვარულზე. ყველა ნაწარმოებზე აქ ძნელია საუბარი, ბავშვებო. ხუტა ბერულავას „ჩემი ნობათი“ კარგი საჩუქარია ჩვენი მკითხველისათვის.

**ალ. კოკაია**

## რაფაელო ჯიოვანოლი — „სპარტაკი“

„საბლიტგამმა“ გამოსცა გამოჩენილი იტალიელი მწერლის რაფაელო ჯიოვანოლის რომანი: „სპარტაკი“. იგი მეცხრამეტე საუკუნის იტალიური ლიტერატურის უბრწყინვალესი ნაწარმოებია.

რომანს საფუძვლად უდევს მონათა ცნობილი აჯანყება ძველ რომში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასასრულს ძველ რომში იფეთქა აჯანყებამ. იგი დაიწყო ქალაქ კაპუას გლადიატორთა სკოლიდან სამოცდათვრამეტი გლადიატორის გაქცევით. აჯანყებულ გლადიატორებს შეუერთდნენ მონები, რომის მოსახლეობის დაბალი ფენები.




ჩაგრულთა აბობოქრებული ტალღა დამხობით ემუქრებოდა რომის მონათმფლობელურ სახელმწიფოს. აჯანყებას ხელმძღვანელობდა უდიდესი სტრატეგიული ნიჭით დაჯილდოებული თრაკიელი მონა სპარტაკი. მან გლადიატორთა ბრბოსაგან შექმნა მტკიცე დისციპლინიანი ჯარი და მრავალი სამარცხვინო დამარცხება აგემა რომაელთა გაწვრთნილ ლეგიონებს. სპარტაკი არა მარტო თავისი ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ნაციონალური გმირი იყო, იგი იბრძოდა ყველა ხალხის უფლებათა დასაცავად — მისი არმია შედგებოდა გალების, თრაკიელების, სამნიტების, ილირიელების, ბერძნებისა და აფრიკელებისაგან.

სამ წელიწადს მამაცურად უმკლავდებოდა სპარტაკის ჯარი ბრძოლებში ნაწრთობ რომის ლეგიონებს.

71 წ. ჩვენს ერამდე ბრუნდუზიუმთან მოხდა შეტაკება, რამაც გადაწყვიტა აჯანყების ბედი. სპარტაკი დაეცა ბრძოლის ველზე, ამოწყდა გლადიატორთა ჯარი. ვინც კი ცოცხალი გადარჩა, რომის სენატი მას სასტიკად გაუსწორდა—ყველანი ჯვარს აცვეს.

სპარტაკის მონათა აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა—საფუძველი შეურყია რომის მონათმფლობელურ სახელმწიფოს.

სპარტაკის ავტორი რაფაელო ჯიოვანოლი დაიბადა 1838 წელს რომში. იგი ახალგაზრდობაში თვითონაც იბრძოდა იტალიის ნაციონალური განთავისუფლებისათვის და თავის რომანშიც მგზნებარე გარიბალდელის პატრიოტული სული შეიტანა.

„სპარტაკი“ ქართულად თარგმნა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა ნინო ყიფიანმა.

ბავშვებო! წაიკითხეთ ეს საინტერესო წიგნი.

**ნ. კალანდარიშვილი**

# რაკეტა



## ქვეყნიდან სამყაროში

უხსოვარ დროიდან ცდილობდა ადამიანი შეექმნა ისეთი აპარატი, რომლის საშუალებითაც იგი სივრცეში გაფრინდებოდა, მიუახლოვდებოდა ციურ სხეულებს და გამოიცნობდა სამყაროს საიდუმლოებას.

საპლანეტათშორისო ‘სივრცეში რაკეტით გაფრენის იდეა პირველად ფრანგმა მწერალმა სირანო დე ბერჟერაკმა (1619—1655) გამოთქვა.

ფრანგებმა მერსენმა და პტიმ მე-17 საუკუნეში ცდაც კი ჩაატარეს: სამყაროს სიღრმეში ქვემეხით ჭურვის შესროლა სცადეს. ამ პირველმა ექსპერიმენტატორებმა საგანგებოდ აგებული უზარმაზარი ქვემეხი ვერტიკალურ მდგომარეობაში დააყენეს და ჭურვი პირდაპირ ზევით გაისროლეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ გასროლილი ჭურვი, თუ კოსმურ სამყაროში არ შეცურდებოდა, მაშინ უკანვე—ქვემეხის ლულაში ჩავარდებოდა, ან მის მახლობლად დაეცემოდა. მაგრამ მათ მიერ გასროლილი ყველა ჭურვი დაიკარგა. ამის გამო ამ გამოუცდელმა ექსპერიმენტატორებმა დაასკვნეს, რომ ჭურვები კოსმიურ სიღრმეში შეიჭრნენ და იქ იწყეს მოძრაობა. სინამდვილეში კი ქვემეხის არაზუსტი ვერტიკალობის გამო და იმის გამოც, რომ დედამიწა თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს, გასროლილი ჭურვები მაღლა, ატმოსფეროში იხრებოდნენ მათი მოძრაობის ვერტიკალურ მიმართულებიდან და შორს, გასროლის ადგილიდან 15-20 კილომეტრის დაცილებით ეცემოდნენ დედამიწაზე. შემდეგში გამოირკვა, რომ, როგორი უზარმაზარი ქვემეხიც არ უნდა შევქმნათ, შეუძლებელია მისი საშუალებით საპლანეტათშორისო სივრცეში შევისროლოთ ჭურვი, რადგან შეუძლებელია მოვიხმაროთ ისეთი ამაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც ჭურვს მისცემს საჭირო, წამში 11 კილომეტრის სიჩქარეს. ასეთი სიჩქარე მეტად დიდია, იგი შაშხანიდან გასროლილი ტყვიის საწყის სიჩქარეს 10-ჯერ აღემატება. გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ასეთ დიდ სისწრაფეს შეუძლია გასჭრას დედამიწის მიზიდულობის არე და ჭურვი საპლანეტათშორისო სივრცეში შეისროლოს. კაცობრიობისათვის გადაუჭრელ ამოცანას სწორედ ასეთი სიჩქარის შექმნა წარმოადგენდა. მაგრამ დღეს მეცნიერებამ მიაგნო მოძრაობის ისეთ წესს, რომლითაც სახელოვანმა საბჭოთა მეცნიერებმა წარმატებით გადაჭრეს ეს პრობლემა.

როგორია მოძრაობის ეს შესანიშნავი წესი?

საზოგადოდ, მოძრაობა გარემოსთან რეაქციის შედეგია. მართლაც, თუ ხახუნს არ ექნებოდა ადგილი, მაშინ მატარებელი, მანქანა ან თვითმფრინავი ვერ იმოძრავებდა, ვერც ადამიანი ივლიდა და ასე შემდეგ. ორთქლმავალი შინაგან მოწყობილობის საშუალებით აბრუნებს ბორბლებს, მაგრამ თუ ლიანდაგს გავქონავდით, მაშინ ხახუნი არ იარსებებდა და როგორი სიჩქარითაც არ უნდა ებრუნათ ბორბლებს, ორთქლმავალი ადგილზე დარჩებოდა. ბორბლები ვერ მოებღაუჭებიან ლიანდაგს, რომ მატარებელი წინ წასწიონ, წინ წაიყვანონ. ადამიანი ვერ ივლის, ფეხს ვერ მოიმაგრებს ზედმიწევნით მოლიპულ ყინულზე, სადაც ხახუნი არ იქნება; თვითმფრინავი ვერ იფრენს, თუ არ დაეყრდნო და არ ჩაეხრახნა ჰაერს. მოძრაობის რაკეტული წესი კი სულ სხვანაირია. აქ პირიქითაა: რაკეტას წარმატებით შეუძლია იმოძრაოს უჰაერო სივრცეში, ესე იგი იქ, სადაც შესახები გარემო, მოსაბღაუჭებელი რამ სრულებითაც არ არსებობს.

რაკეტა მისი კორპუსიდან დიდი სიჩქარით გამოსროლილ სითხის თუ გაზის შედეგად მოძრაობს.

ვთქვათ, განსაკუთრებული ნავის ბოლოზე მოწყობილია ქვემეხი, რომლის ლულა მიმართულია უკან—ჩვენთვის სასურველი მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით: ქვემეხი გასროლისას უკან დაჰკრავს, უკან უბიძგებს ნავს და წინ წასწევს მას გასროლის საწინააღმდეგო მიმართულებით. თუ სროლას გავახშირებთ, მაშინ ნავი განუწყვეტლივ მიიღებს დარტყმით იმპულსებს და იგი წინ გაცურავს. თუ ჭურვების ნაცვლად ქვემეხის ლულით დიდი სიჩქარით გავისვრით სითხეს ან გაზს, შედეგი იგივე იქნება. უკუდარტყმები ისევ განმეორდება და ნავი იმოძრავებს გაზის გამოსროლის მოპირდაპირე მიმართულებით.

სწორედ ამ წესით, რაკეტის კორპუსიდან, შინაგანი წვის შედეგად, დიდი სიჩქარით გაისროლება სითხე ან გაზი და რაკეტას საწინააღმდეგო მიმართულებით უბიძგებს. რაკეტა გაქროლდება წინ. ამ მოძრაობისათვის რაკეტას სრულებითაც არ დასჭირდება გარემოსთან მობღაუჭება. მაშასადამე, რაკეტა იმოძრავებს მისგან გამოსროლილი გაზების რეაქციით. ეს სიტყვა ლათინურიდანაა წარმოქმნილი და ნიშნავს უკუქმედებას.

ცხადია, რაც უფრო დიდი სიჩქარით იქნება გასროლილი რაკეტის

სხეულიდან გაზები, მით უფრო სწრაფად იმოძრავებს რაკეტა. იმისათვის, რომ რაკეტის საჭირო სიჩქარეს და სასურველ შორეულ მანძილზე მის გადაფრენას მივაღწიოთ, საჭირო ხდება ავაგოთ ისეთი ზომის სხეული, რომ მასში მამოძრავებელი საწვავი ნივთიერების დიდი რაოდენობა მოთავსდეს. ასეთი ერთიანი სხეული კი დიდი სიმძიმისა და უზარმაზარი მოცულობისაა და შორეულ ფრენას ვერ ანვითარებს.

ამის გამო შეიქმნა ეგრეთწოდებული მრავალსაფეხურიანი რაკეტა, რომელიც გაზის გამოსროლასთან ერთად იცვლის კორპუსის სიდიდეს. ასეთი რაკეტა შედგება რამდენიმე განყოფილებისაგან, რამდენიმე ბაკისაგან. ვთქვათ, პირველი ბაკიდან დაიწყო გაზის გამოსროლა. როცა მთელი გაზი გამოისროლება და რაკეტა მიიღებს გარკვეულ სიჩქარეს, ამ მომენტში ეს ცარიელი ბაკი რაკეტას მოსწყდება და ახლა მეორე ბაკი დაიწყებს მუშაობას. შემდეგ ეს მეორე დაცარიელებული ბაკიც მოსწყდება და ამგვარად გზადაგზა შემცირდება რაკეტის საერთო სიმძიმე და სიდიდე. ამგვარი საფრენი აპარატით შეიძლება მივაღწიოთ ნებისმიერ სიჩქარეს.

პირველად, 1903 წელს, დიდმა რუსმა მეცნიერმა კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკიმ გამოიკვლია რაკეტული მოძრაობის თავისებურება და პირველმა მოგვცა ამ მოძრაობის ძირითადი კანონი, მან დაადგინა კავშირი თავისუფალ სივრცეში მოძრავი რაკეტის საწვავის ხარჯსა, მის სიჩქარესა და გადაფრენის სიშორეს შორის.

ციოლკოვსკიმ თავის მრავალრიცხოვან შრომებში დაგვისაბუთა რაკეტული წესით მზის სისტემის სხვა პლანეტებზე გადაფრენის შესაძლებლობა. ამასთანავე მან გამოიკვლია კოსმიური რაკეტის საკანში მოთავსებული ადამიანის კვების, სუნთქვის, მის სხეულში სისხლის მიმოქცევის, ორგანიზმის გადატვირთვის საკითხები და სხვა.

დღევანდელი ავიაციის ძირითადი ღირსება დიდი სიჩქარე და დიდ სიმაღლეზე ასვლის უნარია. ამ მხრივ კი უპირატესობა რეაქტიულმა თვითმფრინავმა მოიპოვა. ჩვეულებრივი, ხრახნიანი თვითმფრინავით 10 კილომეტრზე და მეტ სიმაღლეზე ასვლა ძნელდება, რადგან ძრავის გაწევის ძალა გაიშვიათებულ ატმოსფეროს ზედა ფენებში სწრაფად მცირდება. რეაქტიულ ძრავიანი თმვითმფრინავის ძალა კი სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება. დღევანდელი რეაქტიული თვითმფრინავის სიჩქარე საათში 700—1400 კილომეტრს უდრის. მაგრამ დიდ სიმაღლეზე, დედამიწის ზედაპირიდან 1500—3000 კილომეტრზე, იქ, სადაც ატმოსფეროს წინააღმდეგობა მისი გაიშვიათების გამო უმნიშვნელოა, მფრინავი აპარატის სიჩქარემ შეიძლება ათეულ ათას კილომეტრს მიაღწიოს საათში. ასეთი მფრინავი აპარატი შექმნილია. ეს უფრთო რეაქტიული თვითმფრინავი—რაკეტაა.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, პირველად საბჭოთა მეცნიერებმა განახორციელეს კაცობრიობის საუკუნოებრივი ნატვრა და 1957 წლის 4 ოქტომბერს რაკეტით გასტყორცნეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. დღემდე ერთადერთი ციური სხეული უვლიდა გარს დედამიწას—მთვარე იყო დედამიწის თანამგზავრი. ახლა კი მთვარესთან ერთად დედამიწის გარშემო ბრუნავს ჩვენი სახელოვანი მეცნიერების მიერ შექმნილი ხელოვნური ციური სხეულები—თანამგზავრები. დედამიწის გარშემო მათი ფრენისათვის არ იხარჯება საწვავი მასალა, მათზე არაა დადგმული ძრავები. თანამგზავრები თავიდანვე ისეთი დიდი სისწრაფით (წამში 8000 მეტრი) იქნა გასროლილი, რომ ისინი შემდეგ ინერციით ასრულებენ დედამიწის გარშემო შემოვლით მოძრაობას. ასე იფრენენ მანამდე, ვიდრე დედამიწის მიზიდულობისა და ატმოსფეროს წინააღმდეგობის ძალა ისე არ დაამუხრუჭებს მათ, რომ ინერცია დაკარგონ და დაეცნენ დედამიწაზე. ასეთი თანამგზავრების მეცნიერული ღირებულება განუსაზღვრელად დიდია. ამის განმარტებაზე აქ არ შევჩერდებით, მაგრამ შევნიშნავთ, რომ თუ კაცობრიობა შექმნიდა ისეთ რაკეტას, რომელსაც თანამგზავრის ნაცვლად მოწყობილი ექნებოდა კამერა ადამიანთა მოგზაურობისათვის, მაშინ ასეთი ფრენის ღირებულება სრულიად უნიშვნელო იქნებოდა. ასეთ რაკეტას დასჭირდებოდა საწვავის დახარჯვა მხოლოდ ასაფრენად და დაჯდომის დროს—დასამუხრუჭებლად; დანარჩენ გზას კი საწვავის დახარჯვის გარეშე, ინერციით გაივლიდა. ამგვარი საფრენი აპარატით მოსკოვიდან ვლადივოსტოკში მისვლას 30 წუთი დასჭირდებოდა. დედამიწის ჩრდილო პოლუსიდან სამხრეთ პოლუსამდე გადაფრენას—45 წუთი. საზოგადოდ იმისათვის, რომ დედამიწის რომელიმე ადგილიდან გადავფრენილიყავით მის ნებისმიერ წერტილში, მაგალითად, ევროპიდან—აზიაში, აფრიკაში, ჩრდილოამერიკაში, ამერიკის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაპირებზე, ამას დასჭირდებოდა მხოლოდ 30—40 წუთი და ფრენა სრულებითაც არ იქნებოდა დამოკიდებული ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებზე.

არც ისე შორსაა ის დღე, როცა ადამიანის ეს საოცარი ოცნება შესრულდება.

დოცენტი **გიორგი თევზაძე**



# გამოჩენილ ადამიანებზე

ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები თავიანთს შემოქმედებითს მუშაობაში თუ პირადს ცხოვრებაში ბევრ საინტერესო თვისებებს ამჟღავნებდნენ.

დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, მეტად სპეტაკი ადამიანი, ალკოჰოლს და თამბაქოს სრულიად არ ეკარებოდა. როცა მას ჰკითხეს რატომ თამბაქოს არ ეწევითო?—უპასუხა:

„მე ჩიბუხისა წევითა
ვერ გადავივლი მთასაო,
ასე რომ ბოლი მიყვარდეს,
ბუხარში შევყოფ თავსაო“.

მწერალ ალექსანდრე ორბელიანის შეკითხვაზე, თუ რატომ არის ასე მიმზიდველი მისი ლექსები, პოეტმა უპასუხა: „სწორეთ გეტყვი, ბლიაძეებისაგან შემოვილე (ბლიაძეები სახალხო მოლექსენი და მესტვირეები იყვნენ იმ დროს), კარგად იცით, მე ბევრ ფრანგულ წიგნებს ვკითხულობ, ჩვენი მესტვირეების მარტივ ყბედობას ევროპული სიამოვნება შივეცი და აქედან გაკეთდა ისეთი ლექსები. აი, ეს არის მიზეზი, სხვა არაფერი“.

გენიალური ქართველი პოეტის „ნიკოლოზ ბარათაშვილის ფიქრი მახავით მოუსვენარი იყო, ხან კრწანისის მინდორს ზედ დასტრიალებს, ხან ზღვა-ოკეანეს გადაუვლის და ნაპოლეონის აჩრდილს თავზედ ევლება... ხან ზეცად აღხდება და ვარსკვლავების იქით ეძიებს სადგურსაო“.

ნიკოლოზ ბარათაშვილს ჩვეულებად ჰქონდა ლექსები თავის პირად წერილებში ჩაერთო. მსოფლიო კლასიკური პოეზიის შედევრი „მერანი“ წერილშია ჩართული. იგივე ითქმის „საფლავი მეფის ირაკლისა“, „სულო ბოროტო“-სა და სხვათა შესახებ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსებს წერდა ყველგან და ყოველგვარ პირობებში, როცა კი საამისო დრო დაუდგებოდა. გადმოცემით ერთხელ, ქართლში, სახალხო დღეობა „ალევობას“, მონასტერ „ოქროსკარიანის“ კარზე პოეტმა ლექსი მიაწერა. ეს ლექსი სახალხო მომღერალ სათარასადმი ყოფილა მიძღვნილი.

ქართველი ხალხის დიდ განმანათლებელ ილია ჭავჭავაძეს წერის დროს მუდამ გაუქრობელი პაპიროსი ჰქონდა. იგი იშვიათად წერდა და უფრო იშვიათად ბეჭდავდა. მშვენიერი ლექსი „ბაზალეთის ტბა“ ილიამ მხოლოდ საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქციის დიდი თხოვნის შემდეგ ძლივს გაიმეტა დასაბეჭდად. თვითონ ილია ამბობდა ხოლმე: „მანამ ლექსი ჩემთან არის—მგონია მახარებს და, რაკი დაიბეჭდება, საქვეყნოდ გახდება, ისეთ გრძნობას განვიცდი, თითქოს საყვარელი ღვიძლი შვილი მომგლიჯეს...მწერლობას, ამ მადლს, ამ ტვირთს, დიდი ძალღონე უნდა სულისა და ხორცისაო“.

დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი ერთობ თავისებური იყო, გადმოგვცემენ, აკაკისათვის კაბინეტში მუშაობა სასჯელს უდრიდაო.

აკაკის ჩვეულებად ჰქონდა რვეული, ბაწრით გამობმულ ფანქრით, მუდამ თან ეტარებინა. დაძინების წინ რვეული და ფანქარი თავით ედო; დაწოლილს, როდესაც რაიმე აზრი მოუვიდოდა, ან ხალხში გაგონილი ამბავი მოაგონდებოდა, მაშინვე წამოდგებოდა, სანთელს აანთებდა და იწყებდა წერას.

აკაკის განსაკუთრებით უყვარდა ბულბული, როცა მის ხმას გაიგონებდა, არაფერს და არავის ყურადღებას აღარ აქცევდა. ყოფილა შემთხვევა, როცა აკაკის უთქვამს: „ნეტავი ეხლა ბულბული დამანახვაო“. ამ დროს, შემთხვევით, მართლაც მოფრენილა ბულბული და აკაკის ხუჭუჭა თმებში ჩამჯდარა. აკაკი გარინდულა. ბულბული მალე გაფრენილა. იქ დამსწრეთ აკაკისათვის უთქვამთ: „შენი ენა ბულბულსაც კი აჯადოებსო!“

ქართული ენის ფოლადის ფარი—იაკობ გოგებაშვილი, ქართველი ხალხის წინაშე მიუხედავად მისი დიდი დამსახურებისა, ვერ იქნა და ვერ დაიყოლიეს მისთვის იუბილეს გადახდაზე. იგი ამბობდა: „ქართული ეროვნული ბურჯის დიდი იუბილე ჩაშალეს, ქართული პოეზიის იალბუზის (ასე ეძახდა ის აკაკი წერეთელს) იუბილე არ გადაუხდიათ და რა დროს ჩემი რიგიაო“.

იაკობ გოგებაშვილი სულ უბრალო კორექტურულ შეცდომას ვერ იტანდა. გადმოგვცემენ, რომ ვინც იაკობის წიგნში კორექტურულ შეცდომას აღმოაჩენდა, მას ავტორი ფულად ჯილდოს აძლევდაო.

დიდი ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი უჩვეულო თვისებებით გამოირჩეოდა. იგი თავის ნაწარმოებს ყველგან წერდა, სადაც კი საამისო განწყობილება შეექმნებოდა.

ყაზბეგი წერდა მატარებლით მოგზაურობისას, სტუმრად ყოფნის დროს, რედაქციებში და სხვაგან. მას თავისი ნაწერები არასოდეს არ გადაუთეთრებია, ისე გზავნიდა სტამბაში დასაბეჭდად. წერის დროს მაგიდაზე ეწყო ლიმონი, ლელვი და კამფეტები.

ქართული პოეტური აზროვნების ბუმბერაზი ვაჟა-ფშაველა, როგორც წესი, ლექსის წერის წინ ფანდურს დაუკრავდა, რომელიმე ხალხურ სიმღერას დაამღერებდა, ხან კი თავის მეუღლეს თამარს თხოვდა ფანდური დაეკრა და ამის შემდეგ შეუდგებოდა წერას. ვაჟა წერდა მინდორში მუშაობის დროსაც. გადმოგვცემენ, რომ ყანის მკის დროს ვაჟა უცბათ შეჩერდებოდა და რამდენიმე სტრიქონს ჩაიწერდა უბის წიგნაკში; ყოფილა შემთხვევა, როდესაც შუადღისას მუშაობისათვის თავი გაუნებებია, შინ წასულა და წერას შესდგომია. შილერის საქვეყნოდ განთქმულ „ორლეანელ ქალწულს“ ვაჟა-ფშაველა ბუხრის სინათლეზე თარგმნიდა თურმე ქართულად.

დიდი მწერალი სატირიკოსი დავით კლდიაშვილი მოთხრობებისა და პიესების წერის დროს ხშირად მიმართავდა თავის მეუღლეს, მარიამს, ეამბნა მისთვით მისი მამის სახლში ნახული თავად-აზნაურების შესახებ და თან დააყოლებდა ხოლმე: „აბა, მომიყევი, გენაცვალე! დამგეშეო“. თვითონ მწერალი იშვიათი შრომისმოყვარე იყო. მისთვის შემოქმედება სასიცოცხლო მოთხოვნილება იყო. მწერალი ხშირად ამბობდა თურმე: „ვწერდი იმიტომ, რომ არ შემეძლო არ მეწერაო“. დავითი, როცა კი საამისო დრო დაუდგებოდა, ყველაფერს თავს ანებებდა და მთელი არსებით შემოქმედებას ეძლეოდა.

„ერთხელ,—უთქვამს დავითს, —გრიგოლ ვოლსკი (ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი) და მე ბათუმის ბულვარში ვსეირნობდით, სეირნობის დროს გადავწყვიტეთ ერთ ნაცნობთან წასვლა. მივდივართ. უეცრად თითქოს ვიღაცამ ფარდა ასწია ჩემს წინ. ასწია და ჩემი მოთხრობის დასაწყისი დამანახვა. ერთ წუთში თვალწინ გადამეშალა დასაწყისი და ბოლოც. „მე აღარ მოვდივარ“,—მივაძახე ვოლსკის, მივატოვე გაკვირვებული და შინ გავსწიე, მივირბინე, ჩავიკეტე და წერა დავიწყე, ხალისით და გატაცებით ვწერდიო“.

გამოჩენილი ბელეტრისტი, ფსიქოლოგიური ნოველების დიდი ოსტატი შიო არაგვისპირელი ძალზე მოკრძალებული ადამიანი იყო. მწერალი მოთხრობებს მხოლოდ შავად წერდა და თავისი ნაცნობების ხელით გზავნიდა რედაქციებში. იგი თავის ნაწერებს ფსევდონიმით ბეჭდავდა. მისი ცნობილი, მშვენიერი მოთხრობა „ჩემო შვინდავ“ ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქციამ უკან დაუბრუნა, როგორც „უვარგისი“. ამაზე მწერალი წერდა: „ჩემო შვინდავ“ „ჯეჯილმა“ უკან დამიბრუნა, როგორც უვარგისი, რომ გადაევდოთ, ისიც დამეკარგებოდა, რადგანაც შავი არასდროს არ მქონია. ჩემი გვარის გამომჟღავნება არ მინდოდაო“.

ცნობილი ქართველი მწერალი ნიკო ლომოური ასევე მეტად მორიდებული იყო, თავის ნაწარმოებებს მუდამ ფსევდონიმით ბეჭდავდა. იგი თავის მეგობარ დავით კარიჭაშვილს წერდა: „რაღაც სიამოვნებას განვიცდიდი, როდესაც ნაწარმოებს ჩემი სახელი არ ეწერაო“.

ვ. სიდამონიძე




# თხისმწოვი... ხვლიკი

ყარაყუმის უდაბნოში გეოლოგიური ექსპედიციის ქარავანი ნელა მიიკვლევდა გზას. მყუდროებას მხოლოდ აქლემების მძიმე ნაბიჯები არღვევდა. მოულოდნელად ძაღლის ყეფა გაისმა, აქლემებმა იგრძნეს დასახლებული ადგილის სიახლოვე და ნაბიჯს მოუჩქარეს.

გამოჩნდა ცხვრებისა და თხების სილუეტები. ფარა მწყემსს მიჰყვებოდა და თანდათან ეფარებოდა პატარა ბორცვს.

უცებ ხიდირმა, ჩვენმა გამცილებელმა, მეწინავე აქლემის სადავე მიაგდო და ფარისაკენ გაიქცა, მეც კვალდაკვალ მივყევი.

გორაკის თავზე განმარტოებული თხა შევნიშნე. ხიდირი მისგან ასიოდე მეტრზე შეჩერდა, შემობრუნდა და მითხრა:

— შეხე, ახლა კი ნამდვილად დაიჭირე. იგი დიდი ხანია ქურდობს.

თხა ადგილიდან არ იძვროდა, თავის მოკლე კუდს იქნევდა და უმწეოდ კიკინებდ. მეტი ვერაფერი შევნიშნე. ხიდირი იღიმებოდა, მის გამოხედვაში მე ამოვიკითხე: „ეხ, შე ქალაქელო!“

ხიდირმა ტომარა ჩამოიღო მხრიდან და თან მანიშნა უკან გავყოლოდი, იგი სწრაფად უახლოვდებოდა თხას, მარჯვენა ხელში განუყრელი ჯოხი ეჭირა. ოციოდე მეტრის მოშორებით შეჩერდა, ჩაიმუხლა და ცხვირზე მიმითითა. ახლა კი შევნიშნე ქურდი. ვეებერთელა ხვლიკს—ვარანს თავისი კუდით დაებორკა თხის უკანა ფეხები და... გამალებით წოვდა ძუძუს.

— თხისმწოვი!.. როგორც კი თხა გაინძრევა, იგი მაშინვე მოუჭერს კბილებს ძუძუს და ისიც იძულებულია გარინდული იდგეს. ეშმაკობს...—წყნარად სთქვა ხიდირმა.

სიცილი ვერ შევიკავე: ვარანი ზუსტად ისე ურტყამდა დრუნჩს ცურს, როგორც თიკანი, და რძეს მოითხოვდა.

სიცილის ხმაზე სწრაფად გახსნა თავისი ვეება კუდი ხვლიკმა. შეშინებული თხა სწრაფად მიეფარა გორაკს. ხვლიკი კი ადგილიდან არ იძვროდა. იგი თავის მოკლე ფეხებზე იდგა და მრისხანედ სცემდა კუდს მიწაზე.

ხიდირმა წინ წადგა ბიჯი. ვარანმა კბილებით სავსე ყბა გახსნა და წითელი, გაორებული ენა გამოაგდო გველივით. უნებლიედ ხელი ვტაცე ხიდირს, მაგრამ მან უშიშრად მიუახლოვა ჯოხი. მტაცებელმა გააფთრებული ძალღით ჩაავლო კბილები ჯოხს, აშიშინდა, კისერი და ფერდები დაბერა და უფრო ღონივრად დაიწყო კუდის ცემა მიწაზე. ვეებერთელა ხვლიკი ყოველნაირად ცდილობდა ხიდირის ფეხებთან მიახლოვებას.

ხიდირი არ აღელვებულა, უფრო მაგრად მოუჭირა ხელი ჯოხის მეორე ბოლოს და მანიშნა ახლოს მივსულიყავი.

— ნუ შიშობ, იგი ახლა ჯოხს აღარ დაეხსნება, პირს არ გააღებს. — გამამხნევა მან.—აიღე ტომარა და პირი გაუხსენი.

ვარანი გაბოროტებული თვალებით შესცქეროდა თავის მტერს. ხიდირმა გაჭირვებით ასწია იგი და ტომარაში ჩააგდო.

როცა აულში ხიდირმა ტომარა გახსნა, ხვლიკს ჯოხი კვლავ პირში ეჭირა. ამ „ტარის“ საშუალებით ამოიყვანა იგი ტომრიდან.

— დაიჭირე,—მითხრა მან და ჯოხის ბოლო გამომიწოდა, თვითონ გაბედულად მოახტა ვარანს ზურგზე, მუხლებით გრძელი კუდი დაუჭირა და თავი მიწაზე დააბჯენინა.

გაბედულმა მონადირემ თურქმენულად რაღაც დაუყვირა თავის ათი წლის ვაჟს.

ბიჭუნამ ვარანთან ჩაიმუხლა და წინა ფეხით მაგრად დააბა პალოზე გამობმულ თოკზე. მამამ ძალით გაუხსნა ხვლიკს ყბა, ჯოხი გამოაცალა კბილებიდან და განზე გახტა.

იგი უმოძრაოდ დარჩა. ეს იყო უზარმაზარი ლამაზი ხვლიკი—ვარანი, მისი სიგრძე თითქმის მეტრნახევარს აღწევდა.

ხიდირმა მიამბო თუ რითი იკვებება ვარანი. იგი თურმე სანსლავს ყველაფერს, რასაც კი დაეწევა და მოერევა. მას სულ ადვილად შეუძლია თითი მოაკვნიტოს ადამიანს. მიუხედავად ამისა მისი მოშინაურებაც შეიძლება. როცა ის სახლს დარაჯობს, ვერც ერთი სულდგმული ვერ მიბედავს მიახლოვებას. მის ტყავს ფეხსაცმელების წარმოებაშიც იყენებენ.

სამწუხაროდ იგი თხისმწოვია... —გაიღიმა ხიდირმა.—აი, დაბრუნდებიან თხები სახლში და იგი კვლავ შეეცდება მათ გამოწოვას.

**ს. პრუსაკი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

## მანანა მოსკოვში

დიდ მოსკოვ-ქალაქს ესტუმრნენ
ქართველი პიონერები,
თან მიჰყვათ მთების სილაღე
და ანცი სიო ველების.

ბავშვებმა დიდ კრემლს მიართვეს
ქართული თაიგულები;
მოსკოვში ლამაზ ნიშნებით
შეიმკეს ნორჩი გულები...

ზედ ოქროსფერად ეხატა
ნიშანს — „ქართული დეკადა“.

ისმენდა მთელი მოსკოვი
წკრიალა ქართულ სიმღერას.
სიმღერა იგი მსოფლიოს
ყველა კუთხისკენ მიღელავს.

მის ხმაზე მზე ირხეოდა,
ღელავდა ზეცის ტატნობი;
ქართველ მეგობრებს ჰკოცნიდნენ
რუსი და-ძმები მადლობით.

უსმენდნენ ბავშვებს უფროსი
დედები და ძიები:
შა, საცეკვაოდ გავიდნენ
ენძელები და იები...

ხან დაგოგავდნენ მტრედულად,
ხან ჰქროდნენ ფრთაასხმულები,
დარბაზში ლამის ტაშისკვრით
დაუსკდათ ხელისგულები.

მღეროდა ტკბილი მამულის
ბავშვობა შხრებგამართული.
... დიდ მოსკოვს დარჩა სახსოვრად
მანანას ცეკვაც ქართული.





ნახ. ნ. შალიკაშვილისა

## გონიერი მორჩილი

(იაპონური არაკი)

მთის ტაძარში ცხოვრობდნენ ბერი და პატარა მორჩილი. ერთ სუსხიან საღამოს, როცა ცა სათოვად ეპირებოდა, ბერს ბრინჯიანი ღვეზელი მოუნდა. ღვეზელი კიდობანში ჰქონდა დამალული. ბერი ერთი წუწურაქი ვინმე იყო და პატარა მორჩილის თანდასწრებით არ უნდოდა ღვეზელის ამოღება.

«მოდი, ცოტას დავიცდი, — გაიფიქრა მან, — ღვეზელი ახლა რომ მორჩილის თანდასწრებით ამოვიღო, მე რაღა შემხვდებაო»...

ჩაფიქრდა ბერი, რა ჰქნას, როგორ მოიქცეს?

სწორედ ამ დროს ზარის რეკვა მოისმა; ზარს სოფელში რეკავდნენ. «ახლა კი ვიცი, როგორ მოვიქცეო!» — გაუხარდა ბერს და მორჩილს დაუძახა:

— ჰეი, მორჩილო, რაღაც უბედურებაა! ვგონებ, სოფელში ხანძარია. გაიქეცი ერთი და შეიტყვე, რა იწვისო!

მორჩილმა მაშინვე წამოიცვა ჩალის ქოშები და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მთის ბილიკით ძირს დაეშვა. ბერმა რომ დაატყო, მორჩილი ახლა კარგა შორს იქნებაო, კიდობნიდან ღვეზელები ამოიღო და ცეცხლი აანთო შანდალში. ნაკვერცხლებს ისე აჩქარებით უბერავდა, რომ ლოყები მთლად აუჭარხლდა. ის იყო, ლამაზად ჩარიგებული ღვეზელები ტაფაზე შეიბრაწა, რომ მორჩილი კვლავ მთის მწვერვალზე გაჩნდა. პატარა ხანძარი ყოფილიყო და სანამ მორჩილი სოფელში ჩავიდოდა, სოფლელებს უკვე ჩაექროთ. ამიტომ ასე მალე დაბრუნდა.

ბერმა კი, აბა, რა იცოდა! ის იყო, გემრიელი ღვეზელი პირთან მიიტანა, რომ სამზარეულოს კარის რახუნი მოესმა.

— აი, მეც გეახელით! — შესძახა მორჩილმა.

ბერი დაიბნა. ფაციფუცით მოამხო ტაფა კერაში და ზედ ნაცარი მიაყარა. ასეთი გემრიელი, დაბრაწული კვერები ნაცარში ჩაფლა. მაგრამ ოთახში ახლადშემწვარი კვერების სუნი კიდევ ტრიალებდა. გონიერი ბიჭუნა მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე.



ბერმა არ შეიმჩნია, ვითომც არაფერი მომხდარაო, და გულგრილად ჰკითხა მორჩილს.

— მითხარი ერთი, შვილო ჩემო, რა უყვეს ხანძარს? მიამბე დაწვრილებით, როგორ გაჩენილა?

მორჩილს გაეღიმა, კერასთან მივიდა, ხელში საჩხრეკი აიღო, ჩაახვეღა და ამბის თხრობას შეუდგა:

— ძვირფასო მასწავლებელო, აქედან რომ ჩავრბოდი, ცეცხლი ისე ბო-

ბოქრობდა, ალის ენები ცასა სწვდებოდა. ვხედავ აქეთ-იქიდან გლეხები ფარნებით გამორბიან. მეც ავუჩქარე ნაბიჯს და კვალდაკვალ დავედევნე.

ამის თქმაზე მორჩილმა საჩხრეკი ნაცარში ჩაყო და თან განაგრძო:

— პირველად ამ მხარეს გავიქეცი... — და ბიჭუნამ ნაცარი გაჩხრიკა.

ბერს გული გაუსკდა! შიშით ადევნებდა თვალს საჩხრეკის მოძრაობას, რომელიც ღვეზელს წამოსდებოდა.

— მასწავლებელო, შეხედეთ, კვერი! — შესძახა მორჩილმა და მაშინვე პირისაკენ გააქანა.

როცა შესანსლა, მორჩილმა კვლავ აიღო საჩხრეკი და ამბის თხრობა განაგრძო.

— ტყიდან რომ გამოვედი, გზამ უცებ აქეთ მოუხვია. ამ ადგილამდე კი სულ პირდაპირ გამოვრბოდი.

ეს რომ თქვა, მორჩილმა საჩხრეკი ახლა მეორე ღვეზელს მოსდო. გამოათრია და ისიც შესანსლა.

ამბობენ, სანამ მორჩილი ამბის თხრობას დაასრულებდა, ნაცარში ერთი კვერიც კი აღარ დარჩენილაო.

თარგმნა გ. ჭრელოშვილმა

## ამაყი პეპელა

(ზანგური არაკი)



ჭრელი პეპელა სურნელოვან ყვავილს დაჰფარფატებდა. უცბათ იქვე ერთი უშნო მუხლუხა ჭია შენიშნა, რომელიც მტვერში მოღოღავდა.

— როგორ ბედავ ჩემს სიახლოვეს გამოჩენას! — ზიზღით მიაძახა პეპელამ, — მოშორდი აქედან! აბა შემომხედე, რა მშვენიერი ვარ და მზესავით ვბრწყინავ! ჩემი ფრთები მაღლა ჰაერში დამატარებენ, შენ კი მიწაზე დახოხავ, დაიკარგე აქედან! ჩვენ ერთმანეთთან არაფერი გვაქვს საერთო!...

— ჭრელო პეპელავ! — წყნარად მიუგო მუხლუხამ. — ეგ ნაირნაირი ფერები შენ უფლებას არ გაძლევს ზიზღით მომმართო. ჩვენ ნათესავები ვართ და დავრჩებით კიდეც ნათესავებად! ჩემი ლანძღვით ხომ საკუთარ თავს ლანძღავ. განა შენ თვითონ უწინ მუხლუხა არ იყავი? და შენი შვილებიც ხომ ისეთივე მუხლუხები იქნებიან, როგორც მე და შენ ვართ.

თარგმნა გ. ჯაბაშვილმა

## როგორ იყიდა მდიდარმა ხორცი

(ჩინური არაკი)

ერთ სოფელში ერთი მდიდარი ცხოვრობდა. ერთხელ გაიფიქრა: «ფული ბევრი მაქვს, ქალაქში კი ერთხელაც არა ვყოფილვარო». მოემზადა და მახლობელ ქალაქს გაემგზავრა.

დიდხანს იარა მდიდარმა ბაზრებსა და დუქნებში. ისეთი უცხო რამ უნდოდა ჩამოეტანა ქალაქიდან, რომ სოფელში ყველას გაჰკვირვებოდა და თვალი ზედ დარჩენოდა.

დააფასებინებდა ყვავილებით მოხატულ ხალათს, ან ხელოვნის ფუნჯით შესრულებულ შესანიშნავ სურათს, შეხედავდა, ხელით მოსინჯავდა და წავიდოდა — ფული ენანებოდა.

ბოლოს მდიდარმა საყასბოში შეაბოტა. იკითხა ხორცის ფასი და ჭკუაში დაუჯდა. «ჩვენს სოფელში ხბოს ხორცი არავის უჭამია, ერთ ნაჭერს ვიყიდი და მთელი სოფელი შურით დამიწყებს ცქერასო!» — გაიფიქრა და სთხოვა მედუქნეს ერთი დიდი და მსუქანი ნაჭერი ხორცი მოეჭრა. მედუქნემ მიართვა. მდიდარი დუქნიდან გამოვიდა, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ხბოს ხორცის შენელება არ იცოდა. უკანვე შებრუნდა და მედუქნეს სთხოვა დაეწერა ხორცის მომზადების რეცეპტი.

მდიდარმა ცალ ხელში ხორცი დაიჭირა, მეორეში რეცეპტი, და კმაყოფილი გაუდგა გზას. მიდის და თან მიიმღერის. თითქმის სახლთან იყო მისული, რომ საიდანღაც ძაღლი გამოქანდა და ხორცის ნაჭერი ხელიდან გამოსტაცა. იყვირა მდიდარმა, გაედევნა ძაღლს, ქვის სროლაც დაუწყო... მაგრამ უცებ შეჩერდა და გადაიხარხარა:

— ხა, ხა, ხა... სულელო ძაღლო! როგორ შეჭამ მაგ ხორცს, როდესაც შენელების რეცეპტი ხელთა მაქვს.

თარგმნა თ. მთვარელიშვილმა



## გამომგონებლობის ისტორიიდან

# ველოსიპედი

გაკვირვებას არ იწვევს დღეს თქვენში ველოსიპედი, ბევრმა თქვენგანმა იცის ველოსიპედით სიარული, მაგრამ შეიძლება არც გაგიგიათ რამდენი წელი დასჭირდა ველოსიპედის გამოგონებას, რამდენი გაუმჯობესება განიცადა მან, სანამ დღევანდელ სახეს მიიღებდა.

სულ პირველად „სარბენი მანქანა“, როგორც მაშინ ველოსიპედს უწოდებდნენ, მეტყევე დრეზმა დაამზადა. ის თავის მანქანით ოთხჯერ უფრო ჩქარა დადიოდა, ვიდრე ადამიანი. ამ ამბავმა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის ყურამდე მიაღწია. მან დაათვალიერა „სარბენი მანქანა“ და მოიწონა იგი. სიმართლე რომ ითქვას, ბორბლებიანი მანქანის ნახაზები უფრო ადრეც იყო დამზადებული სხვადასხვა პიროვნებების მიერ, მაგრამ დრეზის დამსახურება საჭის გამოგონება იყო.

„სარბენი მანქანები“ მოდაში შედიოდა და მათი დამზადება სპეციალურ სახელოსნოებში დაიწყეს.

1840 წელს ინგლისელი მექანიკოსი მაკ-მილანი „სარბენ მანქანას“ არემონტებდა. იქვე იდგა მისი შვილი. პატარა ბიჭი მამას შეუჩნდა: მანქანით როცა მივსეირნობ, ფეხები ზევით უნდა მეჭიროს, რომ მიწას არ წამოვდოო. ისე გააკეთე, რომ ფეხები ზედ დავალაგო — იქნებ ფეხებით წინა ბორბალი დავატრიალოო.

მაკ-მილანი ჩაფიქრდა.

— შეიძლება! — უცბათ წამოიძახა მან.

და მექანიკოსმა წინა ბორბალს სატერფულები — პედალები გაუკეთა, როგორც დღეს სამთვლიან ველოსიპედებს აქვთ. „სარბენმა მანქანამ“ უფრო სწრაფად იწყო სიარული.

მაგრამ ახლა ის გახდა უბედურება, რომ სწრაფად მოსიარულე მანქანები ხშირად ეჯახებოდნენ ერთმანეთს და ადამიანებს. ხუთი წლის შემდეგ, 1845 წელს, ფრანგმა მიშომ მანქანას მუხრუჭები გაუკეთა და მას ველოსიპედი დაარქვა.

მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი რიგზე: ველოსიპედი საშინლად ინჯღრეოდა მოძრაობის დროს. ამიტომ ამერიკელებმა მას „ძვლების სამტვრევიც“ კი უწოდეს. მართლაც, რა უნდა მოეთხოვათ ხის ბორბლებისაგან? ველოსიპედით დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ ძლივს დადიოდნენ ტკივილებისაგან.

1869 წელს ფრანგმა სირუნენმა ველოსიპედის ბორბლებს ბურთულა საკისრები გაუკეთა. ამან შესანიშნავი შედეგი გამოიღო და ბურთულა საკისრებზე ისე გაიზარდა მოთხოვნილება, რომ საჭირო გახდა სპეციალური ქარხნის აგება ბურთულა საკისრების დასამზადებლად.

ველოსიპედს უკანა ბორბალზე ჯაჭვი გაუკეთა და იგი სატერფულების ბორბალთან დააკავშირა ინგლისელმა ხემბერმა 1884 წელს.

ფირმა „სტარლი სეტონმა“ ველოსიპედების მასიური გამოშვება დაიწყო. საითაც გაიხედავდით, ყველა ველოსიპედზე იჯდა — დიდი თუ პატარა. მაგრამ ველოსიპედს ჯერ კიდევ უწოდებდნენ „ძვლების სამტვრევს“. ბოლოს, როგორც იქნა ველოსიპედს „ფეხსაცმელები“ ჩააცვეს.

აი, როგორ მოხდა ეს:

ინგლისელი ვეტექიმი დენპოლი თვალს ადევნებდა თავის შვილს, რომელიც ეზოში ველოსიპედით დასეირნობდა. აი, ის რამდენჯერმე მაგრად შეინჯღრა და სიმწრით სახე მოეღუშა.

„რა გაუკეთდეს ბორბლებს, რომ ველოსიპედს მსუბუქად შეეძლოს სიარული დედამიწაზე?“ — გაიფიქრა დენპოლმა.

და მოულოდნელად მშვენიერმა აზრმა გაუელვა.

მეორე დღეს საქონლის ნაწლავები გაასუფთავა, მერე შვილს უთხრა ველოსიპედი მოეტანა. როცა ბიჭუნამ ველოსიპედი მოარბენინა, დენპოლმა ერთ ბორბალს მაგრად შემოახვია გარშემო ნაწლავი და, რომ არ მოსძრომოდა, ზედ დოლბანდი დაახვია. ასევე გაუკეთა მეორე ბორბალს. — აბა, ახლა გაიარე, — უთხრა შვილს.

ველოსიპედი რბილად მიგორავდა მიწაზე. ყველამ შეიტყო ეს ამბავი. ვინ არ სთხოვდა ბიჭუნას ნება მიეცა გაესინჯა უჩვეულოდ რბილად მოსიარულე მანქანა! დასეირნობდა ქალაქში ვეტექიმ დეპონის შვილი და რა იცოდა, რომ მისი მამის გამოგონება იმ დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოგონება იყო.

დენპოლმა აიღო პატენტი — მოწმობა თავის გამოგონებაზე და ამაყობდა ამით.

შემდეგში ველოსიპედის გაუმჯობესებაზე გამომგონებელთა და კონსტრუქტორთა მთელმა არმიამ დაიწყო მუშაობა. მარტო 1896 წელს ინგლისში გაცემული 30.000 პატენტიდან 5000 ველოსიპედს ეხებოდა.

ინგლისელები, ამერიკელები, რუსები, ფრანგები, გულმოდგინედ ცდილობდნენ ველოსიპედის გაუმჯობესებას.

1897 წელს ველოსიპედს გაუკეთდა უკანასკნელი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ეს იყო თავისუფალი სვლის მექანიზმი.

ასე, მრავალი წლის განმავლობაში იგონებდნენ და სრულყოფდნენ თქვენთვის ახლობელსა და საყვარელ ველოსიპედს.

ა. კარბელაშვილი






ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლილიპუტი ძაღლები

ჩიუაუა—(ასე უწოდებენ ამ ძაღლებს) ძაღლთა მოდგმის ნამდვილი ლილიპუტები არიან. ზოგი მათგანი ერთ კილოგრამზე ნაკლებს იწონის და ადვილად თავსდება მოზრდილ სალვინე ჭიქაში. ჩიუაუას რბილი, ყავისფერი ბეწვი აქვს, ზოგჯერ თეთრიც. იგი მეტად ალერსიანი და ამყოლია. მიუხედავად სიპატარავისა, გულადად ეცემა ხოლმე მტერს.

მექსიკაში არის ქალაქი ჩიუაუა. მაგრამ როგორ მოხდა ამ სახელწოდების დამთხვევა?



არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ ძველ მექსიკურ პირამიდებში არც ისე იშვიათად ვხვდებით ძაღლ ჩიუაუას გამოსახულებებს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მექსიკის—აცტეკის ძველი მოსახლეობა ამ ძაღლებს წმინდანად თვლიდა.

მე-XVII საუკუნეში ესპანელებმა ჩიუაუა ევროპაში გადაიყვანეს. ამჟამად ეს იშვიათი ძაღლები მეტად დაფასებულია მოყვარულთაგან. ინგლისსა და შეერთებულ შტატებში სპეციალური „ჩიუაუას კლუბებიც" კი არის ჩამოყალიბებული.

## მოცურავე აგური

მოსკოვში მშენებლობაზე უკვე იხმარება უცნაური ფიქალი, რომლის სიგრძე 2 მეტრია და სიგანე თითქმის ერთი მეტრი. თქვენ გგონიათ ეს ბეტონია? არა, ეს მუყაოზე მსუბუქი პენოპლასტია.

თურმე ეს ფიქალი ჩამოსხმულია განსაკუთრებულად დამზადებული პლასტიკური მასის—პენოპლასტისაგან. მიკროსკოპის ქვეშ პენოპლასტი გაციებულ ქაფს წააგავს; იგი ჰაერის მილიარდობით უწვრილესი ბურთულებისაგან შედგება, რაც გამკვრივებული პლასტმასის თხელ გარსშია გახვეული. ამ მასალის კუბიკური მეტრი სულ ათ კილოგრამს იწონის.

ამიტომაცაა პენოპლასტის ფიქალი ასე მსუბუქი. წყალში რომ ჩააგდოთ—არ ჩაიძირება, ტივივით იცურებს ზედაპირზე.

არის ისეთი ხარისხის პენოპლასტიც, რომელიც ასჯერ მსუბუქია წყალზე და ოცდახუთჯერ მსუბუქია საცობზე. ბუნებას ამაზე მსუბუქი საშენი მასალა არ შეუქმნია—სახელდობრ საშენი! იმიტომ, რომ პენოპლასტს ხელს არ უშლის სიმსუბუქე შესანიშნავად შესცვალოს აგური და ბეტონი, არ ატარებს სინოტივეს და სითბოს ინარჩუნებს.

ქიმიკოსები ფიქრობენ, რომ უფრო ხელსაყრელია სახლის აშენება ბუნებრივი მასალის გამოუყენებლად. მაშინ აღარ დაგვჭირდება ხის დახარჯვა ჩარჩოების და პარკეტისათვის, თიხის ზიდვა აგურისა და კაფელისათვის.

სახლები უფრო მსუბუქი, იაფი და ლამაზი იქნება, ვინაიდან პლასტმასას ხანძრისა და სინოტივისა არ ეშინია.

## ორიენტირება წიგნების ლაბირინთში

წიგნი საჭიროა ყველგან, სადაც არ უნდა ცხოვრობდე—დიდ ქალაქში თუ ყამირის საბჭოთა მეურნეობაში ან და იქ სადაც ახლა შენდება ქალაქი, ქარხანა ან ელსადგური. საკუთარი ბიბლიოთეკა შეიძლება არა გქონდეს. მაშასადამე ყოველნაირი წიგნისათვის ბიბლიოთეკას მიაშურებ, მაგრამ როგორ მოიქცევი, თუ ზუსტად არ გახსოვს ავტორის გვარი, ანდა წიგნის სახელწოდება დაგავიწყდა, ან აუცილებელია შენთვის, თვითონვე შეარჩიო რამდენიმე წიგნი გარკვეულ საკითხზე? შეეკითხები ბიბლიოთეკარს? შეიძლება. მაგრამ რამდენად უფრო სასიამოვნო და სასარგებლოა თვითონ იპოვო ეს წიგნები! როგორ? ამისათვის არსებობს საბიბლიოთეკო კატალოგები. არის კატალოგები ანბანური—მასში ჩაწერილია ყველა წიგნი ავტორების გვარით, ანბანის მიხედვით. არის ისეთებიც, რომლებშიც წიგნები შერჩეულია თემატიკის მიხედვით, მაგ: მანქანათმშენებლობა, ქიმია, ლიტერატურა, ანატომია, ხელოვნება და სხვა... კატალოგის ამგვარი ბარათი გეტყვის ყოველივეს რაც საჭიროა: ავტორს, სახელწოდებას, გამოცემის წელს და ადგილს, რამდენი გვერდია და წიგნის მოკლე შინაარსსაც კი. იქვე ნახავ ასოებს და ციფრებს, რის საშუალებითაც ბიბლიოთეკარი გამოარკვევს სად და რომელ თაროზე დევს ეს წიგნი.

აუცილებლად შეისწავლე კატალოგის ხმარება. ამით მარტო შენი და ბიბლიოთეკარის დროს კი არ მოიგებ, შენთვის ბევრ საინტერესო წიგნს აღმოაჩენ.



მარი აბრამიშვილი

## დოქი

წყაროს თავთან ჰყრია დოქის
ნატეხები სველი,
წყაროს თავზე ზის და ტირის
გოგო ფეხშიშველი.

მიწანწკარებს წყარო მშვიდად,
მიაქვს ცხელი ცრემლი,
ტირის გოგო, ველარ მიდის
სახლში ცარიელი,

ბაბუას კი წყურვილი ჰკლავს
და შვილიშვილს ელის,
ეჩქარება, მოიყუდოს
პირზე დოქი ჭრელი.

წყაროს წყალი უყვარს მოხუცს,
სიცოცხლეა მთელი,
წყალი რაა, დოქიც უყვარს
ბაბუს ძველისძველი.

წყაროზე კი...ჰყრია დოქის
ნატეხები სველი,
წყარ.ოს თავზე ზის და ტირის
გოგო ფეხშიშველი.

ნახ. ნ. შალიკაშვილისა



თემაზე

# ტანსაცმელი ნიტრონისაგან

შენი კოსტუმი, მამამ რომ გიყიდა, შალის ქსოვილისაგან არის შეკერილი. მაგრამ იცი რამდენი შრომა დასჭირდა ადამიანს ვიდრე ამ კოსტუმს დაამზადებდა? იმისათვის, რომ მიეღო მხოლოდ 5 კილოგრამი მატყული, მან გაზარდა მერინოსის ჯიშის ცხვარი; მთელი წლის მანძილზე საძოვრებზე ატარა, ზამთარში მის შესანახად სილოსი მოიმარაგა... ერთი სიტყვით, დიდი შრომა დასჭირდა. ნუთუ შეუძლებელია, რომ ეს მატყული უფრო ადრე მივიღოთ? რატომაც არა, შეიძლება! სწავლულებმა აქ ქიმია მოიშველიეს, ქიმიის საშუალებით ახლა ხელოვნურ მატყლს ამზადებენ. „შეუძლებელია! —ამბობენ ურწმუნონი,—ჩვენ ისეთი კოსტუმი გვინდა, რომელიც წელიწადზე მეტ ხანს შეიძლება ვიხმაროთ, თან ისეთი, რომ არ იჭმუჭნებოდეს, არ ხუნდებოდეს, არ იკლებდეს პირველივე წვიმის შემდეგ“. მათი შიში ამაოა! ნიტრონის კოსტუმი უფრო გამძლეა ვიდრე ჩვეულებრივი, ბუნებრივი მატყლისაგან დამზადებული.

მკვლევარებმა ერთი მეტად საინტერესო ცდა ჩაატარეს: სხვადასხვა ქსოვილის ნიმუშები ერთი წლის მანძილზე ღია ცის ქვეშ დასტოვეს. მათზე შეუბრალებლად მოქმედებდა მზის სხივები, წვიმა, თოვლი, ტემპერატურის ცვალებადობა. ასეთი ცდის შემდეგ კაპრონმა თავისი სიმკვრივის 80 პროცენტი დაკარგა, ბუნებრივმა აბრეშუმმა—90, ხელოვნურმა აბრეშუმმა—80, ბოჭკოვანმა ქსოვილმა — 60, ხოლო ნიტრონმა — მხოლოდ 10 პროცენტი. უფრო მეტიც, 60 პროცენტიან მჟავას ხსნარში დუღილისას ნიტრონმა არავითარი ცვლილება არ განიცადა. ბუნებრივი მატყული მხოლოდ ორი თვის მანძილზე უძლებს პლიუს 90 გრადუსს, მაშინ როცა ნიტრონი თავისუფლად იტანს პლიუს 200 გრადუს მთელი ექვსი თვის მანძილზე.




სპირტი და აცეტონი არავითარ გავლენას არ ახდენენ ნიტრონზე, სოდიან ხსნარში დუღილისას მატყლის შეკლება 9 პროცენტს შეადგენს, ხელოვნური ქსოვილისა — 4 პროცენტს, ნიტრონისა კი მხოლოდ 1 პროცენტს. ნიტრონს არ ეშინია ჩრჩილის, არ ძველდება, არ ლპება, წყალში არ იჟღინთება. იგი ჩვეულებრივ მატყლზე 2,6-ჯერ უფრო გამძლეა.

ადვილი წარმოსადგენია თუ რამდენად ფართოდ გამოიყენება ნიტრონი; მისგან დაამზადებენ პალტოს, კოსტუმს, კაბას, საწვიმარებს, ქოლგებს, ფარდებს, კრაველს, ხალიჩებსა და ხალებს. ტექნიკისათვის მისგან დაამზადებენ სხვადასხვა ფილტრებს, მაღალხარისხოვან დიელექტრიკებს, ქიმიურად გამძლე ტანსაცმელს, ლვედებს, ბრეზენტებს, სათევზაო ბადეებს, იალქნებს.

ხელოვნური ბოჭკოების კალინინის კომბინატმა და სრულიად საკავშირო საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტმა მეტად რთული და საინტერესო მუშაობა ჩაატარეს. მათმა შრომამ კარგი ნაყოფი გამოიღო, მალე ნიტრონის ტანსაცმლით შევიმოსებით.



რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ | ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина. № 11, 1958. Тбилиси Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85.

უე 00971 ტირ. 13.000, ხელმოწერ. დასაბ. 24/X-58 წ. სტამბის შეკვ. № 1077, გამომც. შეკვ. № 1077. საქ. კპ ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გასართობი

## კროსვორდი

**ვერტიკალურად:** 1. გმირი კომკავშირელი; 2. ძალის ერთეული; 3. ცნობილი მხატვარი: 5. ყურძნის კრეფა, ანუ ... 9. გამოჩენილი ქართველი იგავთმწერლის სახელი; 10. ტბა ციმბირში; 11. დასასვენებელი ადგილი; 14. ქალაქი აფრიკაში; 15. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 16. ცივსისხლიანთა წარმომადგენელი; 17. მუხის ნაყოფი; 21. ბოსტნეული; 22. გემზე აღმართული ბოძი; 24. ციტრუსოვანი მცენარე; 26. სახელმწიფო ამერიკაში; 27. ნაწარმოების მთავარი აზრი.

**ჰორიზონტალურად:** 4. გერმანელი ფიზიკოსი; 6. ქალაქი საქართველოში; 7. საჩუქარი; 8. რიცხვი; 12. მე-19 საუკუნის ქართველი მწერალი; 13. თევზი; 16. დაავადება; 18. ვაჟა-ფშაველას ძმის სახელი; 19. მუშაობის ერთეული; 20. შინაური ხარის წინაპარი; 23. სამკურნალო მცენარე; 25. მდინარე ციმბირში; 26. სუბტროპიკული მცენარე; 28. მდინარე საქართველოში; 29. სათამაშო, გასართობი; 30. სიგრძის ფრანგული საზომი.

შეადგინა ზესტაფონის საშ. სკოლის მე-9 კლასის

მოსწავლე კ. ცხადაძემ



## შარადები

### 1

წყალს ვიღებთ,—
წყარო არ არის,
ღრმაა, წყალი აქვს ანკარა.
მისი სახელი შარადის
ამოსახსნელად არ კმარა.
წინ უნდა ერთი მარცვალი—
„შარადის“ შუა რომ არის—
კუთხის სახელი გექნებათ
სწორი და შეუცდომარი.
მაღალი მთები დაჰყურებს,
გასდევს წყალუხვი რიონი;
მგონი ზედმეტიც წამომცდა,
შარადა გახდა იოლი.

**ნ. კლდიაშვილი**

### 2

შარადის პირველ ნაწილად
ვაჟის სახელი გვჭირდება,
ჩვენში ძალიან ბევრს ჰქვია—
ახსნა არ გაგიჭირდება.
სახელი არის რიცხვითი
მეორე სიტყვა შარადის,
თუ პირველს ბგერას მოაკლებ,
შეაერთებდე სანამდის,—
მიიღებ კიდევ სხვა სახელს:
დაფიქრდი, ძნელი არ არის,
ძეგლია ისტორიული,
ძველად ნაგები ტაძარი.

**შ. ამირანაშვილი**

## პასუხი „პიონერის“ № 10-ში მოთავსებულ გასართობზე

### პასუხი „აკროკროსვორდზე“

1. გამცემლიძე; 2. არხანგელსკი; 3. ულიანოვი; 4. მოროზოვი; 5. არკადი; 6. რაზმაძე; 7. ჯორჯიაშვილი; 8. ოდესა; 9. სტალინგრადი; 10. კოსმოდემიანსკაია; 11. ოქტომბერი; 12. მიქაძე; 13. კომსომოლსკი; 14. აბშილავა; 15. ვოროშილოვი; 16. შონია; 17. ინაური; 18. როსტიაშვილი; 19. იმედაშვილი 20. „სპარტაკი“; 21. ოლეგი; 22. რუდნევი; 23. მოსკოვი; 24. ორჯონიკიძე; 25. ციციშვილი; 26. ივანოვი; 27. წითლიძე; 28. ლაზო; 29. ისაჩენკო; 30. სევასტოპოლი; 31. თაქთაქიშვილი; 32. არუტუნიანცი; 33. ვოლოდარსკი; 34. სარაჯიშვილი.

გაუმარჯოს კომკავშირის ორმოცი წლისთავს!

6. 30/224



ეროვნული ბიბლიოთეკა